

ს. აბულაძე უ. ბაქრაძე

გულაჩიოლოგიის
ზოგადი საკითხი
ქართული ქაჩაგადინების
მისეღვით

(XI - XVI ს.)


თ ბ ი ლ ი ს ი

1960

ს. აბულაძე, ტ. ბაქრაძე

გადაჩოვების ფორმირების საკითხი ქართული კარგადინების მიხედვით

(XI—XVI ს.)



სახელმწიფო გამოცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1960

წინასიტყვაობა

მალარია ძველთაგანვე ქართველი ხალხის უღმობელ მტერს წარმოადგენდა. საქართველოს ისტორიის შორეული წარსულიდან შემონახულია მრავალი ზეპირსიტყვიერი და წერილობითი ისტორიული ძეგლი, რომლებიც მიუთითებს იმ დიდ ზიანზე, რასაც აყენებდა მალარია ქართველი ხალხის ჯანმრთელობას, საქართველოს ეკონომიკას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სულ ახლო წარსულში, სახელდობრ XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მძვინვარე მალარიამ არა ერთი დასახლებული პუნქტი გადააშენა; შემოგვრჩა მხოლოდ მათი გეოგრაფიული სახელწოდებები, შენობათა ნანგრევები და სასაფლაოები. მალარიის ასე ფართოდ გავრცელებას ძველ საქართველოში ზელს უწყობდა ქვეყნის რთული ბუნებრივ-ისტორიული ფაქტორები და უკუღმართი სოციალური პირობები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე დაიწყო მალარიის წინააღმდეგ ენერგიული, სისტემატური ბრძოლა. საბჭოთა ჯანდაცვის სისტემამ უზრუნველყო ამ ბრძოლის წარმატება. ამჟამად მალარია ჩვენში პრაქტიკულად ლიკვიდირებულია, გვხვდება მისი მხოლოდ ერთეული შემთხვევები. ამგვარად, მალარიული ინფექციის ლიკვიდაციის დასახული გეგმა 1960 წლისათვის შესრულებულია.

ს. ს. აბულაძისა და ტ. ლ. ბაქრაძის შრომა—„მალარიოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართული კარაბადინების მიხედვით (XI—XVI საუკ.)“—წარმოადგენს სპეციალურ გამოკვლევას, კერძოდ, მალარიის საკითხის დარგობრივ განხილვას ისტორიულ ასპექტში.

საერთოდ მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული არსებული დამწერლობითი ძეგლებისა და ძველი სამედიცინო წიგნების (კარაბადინების) შესწავლა დარგების მიხედვით სათანადო სპეციალისტების მიერ, ვინაიდან სწორედ სპეციალისტი გაერკვევა ზედმიწევნით კარგად მედიცინის ამა თუ იმ დარგობრივ საკითხში.

ავტორების მიერ საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა შესრულებული, სათანადო ისტორიული სამართლიანობის დაცვით, ობიექტურად განხილული და მოცემულია მაღარიული პრობლემების ცალკეული საკითხების გადაწყვეტა წარსულ საუკუნეთაგან (XI—XVI საუკ.) შემორჩენილი სამედიცინო წიგნების (კარაბადინების) შესწავლის საფუძველზე.

შრომას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მაღარიის ისტორიის შესწავლისათვის საქართველოში.

პროფ. გ. მარუაშვილი

სსრ კავშირის მედ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოში არსებული მაღარი ეპიდემიის ბუნებრივ-ისტორიული ფაქტორები უძველესი დროიდან ხელს უწყობდა ენდემიური მაღარი მძიმე კერების გაჩენას, განსაკუთრებით მისი ტერიტორიის დაბლობ ნაყოფიერ ადგილებში მცხოვრებ ქართველთა შორის. ამ მოვლენამ სათანადო ასახვა პპოვა ქართველი ერის ჩვენამდე მოღწეულ დამწერლობითი ხასიათის კულტურულ ძეგლებში ცალკეული ხელნაწერი კარაბადინების (სამედიცინო ხასიათის წიგნები) სახით. მათი ნაწილი დაბეჭდილ-გამოცემულია და სწორედ ეს კარაბადინები დაედო საფუძვლად ამ საკითხის შესწავლას.

აღნიშნული საკითხის დასამუშავებლად გამოვიყენეთ შემდეგი გამოცემული კარაბადინები: ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (XI ს.), ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოჲ“ (XIII ს.), ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“ (XV ს.) და დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი“ (XVI ს.).

ამ ძველი ქართული სამედიცინო წყაროების, ძველი ქართული კულტურის დამწერლობითი ძეგლების შესწავლა მაღარიოლოგიური პრობლემის საკითხების გაშუქების თვალსაზრისით, როგორც ამას ჩვენთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურა გვიჩვენებს, სპეციალურად ჯერ არავის არ უწარმოებია. აღნიშნული საკითხის შესახებ სათანადო მითითება მოიპოვება პ. ჯაფარიძისა (1948) და გ. გორდაძის (1956) სადოქტორო დისერტაციებში.

მ. სააკაშვილისა და ა. გელაშვილის წიგნში „საქართველოს მედიცინის ისტორია“ (1956), ბ. რაჭველიშვილი IX თავ-

ში „შინაგანი სნეულებანი“ სხვა სნეულებებთან ერთად მოიხსენიებს სამდღიური და ოთხდღიური მაღარიის კლინიკურ სურათს ძველი ნაბეჭდი კარაბადინების მიხედვით, მაგრამ ავტორი არ ეხება მაღარიის ეპიდემიოლოგიისა და მაღარიის პრობლემასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ერთ-ერთ ჩვენთაგანს (ტ. ბაქრაძე, 1956) მითითებული აქვს, რომ ქანანელის „უსწორო კარაბადინში“ (XI ს.) მოცემულია მაღარიის სამივე ფორმის (სამდღიური, ოთხდღიური და ტროპიკული მაღარიის) კლინიკური და ეპიდემიოლოგიური ხასიათის სწორი მონაცემები.

საქართველოში მაღარიოლოგიის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზემოაღნიშნული საკითხების სპეციალურ დამუშავებას ძველი ქართული ნაბეჭდი კარაბადინების მიხედვით.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზემოჩამოთვლილი ძეგლები ტექსტობრივად ჯერჯერობით შეუსწავლელია სპეციალისტების (ფილოლოგების) მიერ, არ არის ჩატარებული ამ ძეგლების თანმიმდევრული, ქრონოლოგიური შედარება ერთმანეთთან და სხვა უცხოურ ძეგლებთან (ბერძნული, ლათინური, არაბული, ირანული, სომხური და სხვ.), არ არის მათ შორის გატარებული მეცნიერული პარალელები [თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლ. კოტეტიშვილის (1940) ამ ხასიათის მცირე მონაცემებს და პროფ. ილ. აბულაძის შრომას ჟურნალ „საბჭოთა მედიცინაში“ (1959 წ.)]. ყოველივე ეს დიდ სიძნელეებს ქმნის მაღარიოლოგიის ცალკეული საკითხების გამოყოფისა და მათი განვითარების შესწავლის დროს. მართალია, ყველა ძეგლს დართული აქვს რედაქტორის წინასიტყვაობა, შესავალი, ზოგადი ხასიათის მიმოხილვა და ჩვენი თანამედროვეობისათვის გაუგებარი ტერმინებისა და სიტყვების ლექსიკონი (ხშირად არასრული), მაგრამ ყოველივე ეს მაინც ძალიან მცირეა.

წინამდებარე შრომაში ჩვენ არ ვეხებით კარაბადინებისა და მათი ავტორების ვინაობის ირგვლივ არსებულ საკამათო საკითხებს. ჩვენი მიზანია გავაშუქოთ აღნიშნულ ძეგლებში მოყვანილი სწორი დაკვირვებანი და შეხედულებანი მაღარიის

სამივე ფორმის კლინიკის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პათოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის შესახებ.

აღნიშნულ კარაბადინებში, გარდა იმისა, რომ ტექსტში კანტიკუნტად ვხვდებით ცნობებს მალარიოლოგიის საკითხების შესახებ. გამოყოფილია სპეციალური თავები, რომლებშიც ცალკე ჯგუფადაა გაერთიანებული ცხელებით („ცხრო“) მიმდინარე დაავადებები.

ამ თავს ეწოდება „კარი ცხროთა“* ან „წიგნი ცხროთა“**, ანდა „კარი... ფერად ფერადის ცხელებისა და ცივების“***. სიტყვა „ცხრო“ ს. ს. ორბელიანის განმარტებით ნიშნავს „ცივების სენს“, ხოლო ძველ კარაბადინებში ნიშნავდა ცხელებას, ცივ-ცხელებას, სიცხიან დაავადებას (ი. ა. აბულაძე, 1935, 1940). აქედანვე წარმოდგება შემდეგი სიტყვებიც: „ცხრომა“, „გააცხროვოს“ და სხვ.

კარაბადინების ავტორებს „ცხროთა“ ცალკეულ ნოზოლოგიურ სახეობათა დასახელებისა და მოკლე დახასიათების შემდეგ მოჰყავთ, იმდროინდელი გაგებით აღწერილობა ყოველი „ცხროს“, მათი კლინიკის, სიმპტომატოლოგიის, ეტიოპათოგენეზის, ეპიდემიოლოგიის, დიაგნოსტიკის, პროგნოზისა და მკურნალობისა. ამ ნოზოლოგიური ერთეულების („ცხროთა“) რიცხვი შეადგენს 25 („უსწორო კარაბადინი“), 13 („წიგნი სააქიმოჲ“) და 17 („სამკურნალო წიგნი“). „იადიგარ დაუდში“ ცივ-ცხელებით მიმდინარე დაავადებები გაერთიანებულია ერთ თავში და არაა გამოყოფილი ქვეთავებით. „ცხროების“ ეს მრავალსახეობა გამოწვეულია იმდროინდელი მედიცინის განვითარების დონით. ამიტომაც დასაშვებია, რომ „ცხროებში“, გარდა მალარიისა, ხვდებოდა ბევრი სხვა ინფექციური დაავადება (ტიფები, ყვავილი და სხვ.), რომელთა დიფერენციაცია მალარიასთან თუმცა გატარებული იყო, მაგრამ არ იყო გამოყოფილი და გაერთიანებული იყო „ცხროთა“ საერთო ჯგუფში.

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 115.

** ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი — „სამკურნალო წიგნი“, გვ. 378.

*** დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — „იადიგარ დაუდი“, გვ. 489.

მალარიოლოგიის პრობლემებისა და მისი ცალკეული საკითხების შესწავლის თვალსაზრისით ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (XI ს.) ერთდერთ სრულ და ძირითად წყაროდ უნდა ჩაითვალოს. მომდევნო საუკუნეების საექიმო ძეგლებში (XIII, XV, XVI სს.) მალარიოლოგიის იგივე საკითხები შუქდება სხვადასხვა გარდაცემებით და ფორმებით; ფართოდ არის გამოყენებული ბერძნული, რომაული, არაბული, სპარსული სპეციალური სამედიცინო ტერმინოლოგია, რაც ადასტურებს ავტორთა განსწავლულობას, მათ ერუდიციას და იმდროინდელი უცხოური სამედიცინო სკოლებისა და ლიტერატურული წყაროების ზეგავლენას ჩვენს კარაბადინებზე. ეს გარემოება კიდოდ სიძნელეებს ქმნის ტექსტის სწორად გაგებისათვის.

საგულისხმოა, რომ, როგორც ამას ექ. ლ. კოტეტიშვილი აღნიშნავს, „უსწორო კარაბადინის“ სახით ჩვენ გვაქვს „მეტად საინტერესო შინაარსის და სულ ახალი, ორიგინალური აღნაგობის უძველესი საისტორიო საექიმო ძეგლი“* და, რაც მთავარია, „ავტორი (ქანანელი) ცდილობს იყვეს სრული და არა სქემატური საჭირო დეტალებში უფრო მრავალმხრივი, ვიდრე სისტემატური. არც ავტორთა აზრებით არის ის გატაცებული—ის უფრო თავის აზრებს და საკუთარ დაკვირვებებს გადმოგვცემს მისთვის დამახასიათებელი დინჯი თხრობით და ცდილობს ცალკეული საკითხის ამოწურვას, რასაკვირველია, იმ ცოდნის მიხედვით, რომელიც პირადად მას გააჩნია—ეს ცოდნა კი იმდროინდელი გაგებით დიდია, ყოველმხრივი. ისე რომ ქანანელი თავისი დროის ფრიად მცოდნე, განსწავლულ თავისუფალ მოაზროვნე ექიმად გამოიყურება“**.

მალარიოლოგიის საკითხების გაშუქების მხრივ შედარებით ღარიბია XVI ს. ძეგლი „იადიგარ დაუდი“.

მალარიის სხვადასხვა ფორმების აღწერის დროს ჩვენ წიერ დამუშავებული კარაბადინების ოთხივე ავტორი ყოველი

* ლ. კოტეტიშვილი, წინასიტყვაობა წიგნისა „უსწორო კარაბადინი“, 1940, გვ. VIII.

** ლ. კოტეტიშვილი, შესავალი წიგნისა „უსწორო კარაბადინი“, 1940, გვ. XVIII.

„ცხროს“ ეტიოპათოგენეზის საკითხს ერთნაირად განმარტავს. ყოველი მათგანი ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესების ასახსნელად იყენებს იმ დროს მსოფლიო მედიცინაში მტკიცედ დამკვიდრებულ ჰუმორალურ თეორიას (ჰუმორალურ პათოლოგიას). ამ თეორიის თანახმად, პათოლოგიურ პროცესს საფუძვლად უდევს მატერიალური ნივთიერების, ელემენტის („ხილთი“, „ნივთი“, „ბუნებაი“...) „დამეტება“. „ნიშანი თუ ოთხისა ნივთისაგან რომელი დამეტებული იყოს კაცსა შიგა, ამა ნიშნითა ცან, ზაფრა რომელ არს ყვითელი, და გემო მისი მწარე. სევდა რომელ არს შავი ბაღლამი, და გემო მისი მჭახე და მჟავე, სისხლი რომელ იქნების წითელი, და გემო მისი ტკბილი. ბაღლამი რომელი იქნების თეთრი, და გემო მისი მლაშე“*.

ამ თეორიის მამამთავრად ითვლება ძველი ბერძნული კლასიკური მედიცინის წარმომადგენელი ჰიპოკრატე (V—IV სს. ჩვენ წელთაღრიცხვამდე), რომელიც შემდეგში უცვლელად მიიღეს და განავითარეს არისტოტელემ (IV ძვ. წ. ა.) და განსაკუთრებით რომაელმა ექიმმა გალენმა (II ს.). გალენის შემდეგ ეს ჰუმორალური პათოლოგიის თეორია დოგმატურად აღიარა და მიიღო არაბული მედიცინის სკოლებმა და ამ სკოლების წარმომადგენლებმა, ხოლო მათგან უცვლელად გაიზარა ევროპის საშუალო საუკუნეების მედიცინამაც. ამ თეორიამ, მიუხედავად თავისი მცდარობისა, თითქმის XVI საუკუნემდე იბატონა.

ამ მხრივ ვერც ძველი საქართველოს მედიცინის წარმომადგენლები ასცდებოდნენ ამ გზას. ქართული საექიმო ძეგლების ოთხივე ავტორი უცვლელად იზიარებს ამ ჰუმორალური პათოლოგიის თეორიას. აი რას წერს ზ. ფანასკერტელი თავის კარაბადინისადმი წამძღვარებულ მოკლე შესავალში:

„იცოდით, თუ ბუნებანი ესე ოთხნივე (იგულისხმება: სისხლი, სევდა, ზაფრა, ბაღლამი—ს. ა. და ტ. ბ.) ერთმანერთსა შეზავებით და სწორად არიან, მაშინ კაცი მრთლად და კარგად

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი—„უსწორო კარაბადინი“, გვ. 6.

იქნების ბრძანებითა ღ' თისათა; და თუ დამეტდების, რომელიმე დაიბადების სენი და სნება, ცხრო და ყოველი მიზეზი იმათგან გამოჩნდების. და ამათგან იქნების სიცოცხლე და სიკუდილი, ჭირი და ლხინი, ყულა ამა ოთხთა ბუნებათაგან იქნების ბრძანებითა ღ' თისათა. იცოდით, რა კაცი დაიბადების, ვირე სიკუდილამდი ამა ოთხთა ბუნებათაგან იქცევის და ამათგან იზრდების, და ამათგან ცოცხალა კაცი“*.

ჩვენი ოთხივე ავტორის მონაცემებით მაღარიის („ცხრო“) ამა თუ იმ ფორმით ადამიანის დაავადების დროს ამ ოთხი ელემენტის ნორმალური (პარმონიული) განაწილება (რაც ჯანმრთელისათვის აუცილებელია) იცვლება და მათ შორის ირლვევა წონასწორობა („თუ ბუნებანი ესე ოთხნივე ერთმანერთსა შეზავებით და სწორად არიან, მაშინ კაცი მართლად და კარგად იქნების... და თუ დამეტდების, რომელიმე დაიბადების სენი და სნება, ცხრო და ყოველი მიზეზი იმათგან გამოჩნდების“). ამ ელემენტებმა შეიძლება განიცადონ ფიზიკურ-ქიმიური ცვლილებები („გათხელდეს“, „შესქელდეს“, „დალპეს“, „აყროლდეს“ და სხვ.). ამ „ნივთთა“ რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებების მიზეზი შეიძლება იყოს ბუნების სხვადასხვა ფაქტორი—სიცხე, სიცივე, ბანაობა; დიეტური რეჟიმის დარღვევა და თვით ადამიანის ქცევაც, სქესობრივი ექსცესები და სხვ. ამის სათანადო წარმოდგენას იძლევა შემდეგი ცნობა XI ს. ძეგლიდან:

„კე კარი ცხროთა. მაჰმად ზაქარიას შვილმან ასრე თქუა: ცხრო მრავლისაგან იქნების...

- ა. უძილობისაგანაც დაემართების.
- ბ. ცხრო დიდისა სარჯელისაგან იქნების.
- გ. ავის თვალისაგანაც დაემართების.
- დ. შეშინებისაგანაც დაემართების.
- ე. დიდისა საგონებლისაგან დაემართების.
- ვ. სიცხისაგან დაემართების.

* ზ. ფანასკერტელი—„სამკურნალო წიგნი (კარაბადინი)*,

ზ. მთვარიან ღამეს გარეთ წვებოდეს იმისგანაც დაემართების.

ჭ. ნამეტნავად სიცივისა და ცივის წყლისა და ცივის ქარისაგანაც დაემართების.

თ. სიმსივნისაგან და თითის ტკივილისაგანაც დაემართების.

ი. დაკოდისა და ცემისაგან დაემართების.

ია. სიმაშურალისა და ქირისაგან დაემართების.

იბ. სისხლისაგანაც დაემართების რომე გასივდეს და მსუქანსა გვანდეს.

იგ. საფრისაგანაც დაემართების.

იდ. სევდისაგანაც დაემართების, რომელ არს შავი ნალგელი.

იე. ბაღმისაგან იქნების.

ივ. უხარშავის ბაღმისაგან იქნების.

იზ. შიმშილისა და წყურვილისაგანაც იქნების.

იჭ. დიყისაცა არის ცხრო რომელ დაემართების.

ით. დიდის ღვინისაგანაც დაემართების.

კ. მსხმოსა და ავის ქარისაგანაც დაემართების.

კა. მუტბიყისა ეწოდების სახელად.

კბ. კიდევ სხვაც არის რომე მუტბიყი.

კგ. ყვავილისაგანაც დაემართების.

კდ. ხველისა და სურდოსაგანაც დაემართების.

კე. მეათერთმეტესა დღესა რომე მოუვიდოდეს ისეთიც იქნების ცხრო*.

„ცხრო“, ანუ ცხელებით მიმდინარე დაავადებების ამ მრავალ მიზეზთა შორის, ჩვენი აზრით, დასახელებულია მალარიის საპროვოკაციო ფაქტორებიც: უძილობა, „დიდი სარჯელი“, „შეშინება“ და სხვა ფიზიკურ-ფსიქიური ზეგავლენა და მდგომარეობა. ეს გასაგებიცაა, რადგან მეცნიერების დღევანდელი მიღწევებით დადგენილია, რომ ორგანიზმის იმუნო-ბიოლოგიური დამცველი ძალების დამაქვეითებელი და დამასუსტებელი ფაქტორები ხელს უწყობს და ხშირად აჩქარებს

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 115—116.

მალარიის გამომჟღავნებას (ახალი დაავადების ან რეციდივის). ცხადია, ძველ დროში, როდესაც არ არსებობდა მალარიით დაავადებულთა სპეციფიკური მკურნალობა, მალარიით ავადმყოფთა ლატენტური მდგომარეობა უფრო ლაბილური უნდა ყოფილიყო და საკმარისი იყო სულ მცირე მიზეზი (უძილობა, „დიდი სარჯელი“, „დიდი საგონებელი“, შეშინება, „სიმაშურალე და ჭირი“ და სხვ.) ამ მერყევი წონასწორობის დასარღვევად, რომ მალარიით დასნებოვნებულს შეტევები დაწყებოდა. იმდროინდელი ცოდნის დონე არ იძლეოდა საშუალებას მოეხდინათ დიფერენციაცია მალარიის ახალ დაავადებასა და რეციდივს შორის. „ცხროთა“ გამომწვევი მიზეზები ყოველდღიური ემპირიული დაკვირვების შედეგად იყო დადგენილი. ამიტომაც ზემოაღნიშნული საპროგნოზაციო ფაქტორები მიჩნეულია „ცხროს“ უშუალო მიზეზად, რითაც უნდა აიხსნას „ცხროთა“ ის სიმრავლე, რაც ჩამოთვლილი აქვს ქანანელს და სხვა ავტორებს.

„ცხროთა“ ასეთივე სიმრავლე აღინიშნება ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნშიც“ (XV ს.).

„ცხროთა“ მიზეზი იყო აგრეთვე ორგანიზმის ამა თუ იმ ორგანოს დაავადებაც. „აწე ესე მოგახსენოთ ამა ცხროთა გარეთისა სხვისა ტკივილისაგანაც შეეჭნებიან ცხრონი. რომელი ასო სტკიოდეს მისგანაც დაემართების ჰქვიან მას სახელი ცხრო ასოთა, რომელიცა ასო სტკიოდეს მისი სახელი ჰქვიან მას ცხროსა.“* შემდეგ ჩამოთვლილია ის ორგანოები, რომელთა დაავადებაც ცხელებით მიმდინარეობს (ღვიძლი, „ფირტი“, „თირკმელთა“, „ტყირპი“ და სხვ.). პროგნოზის მხრივ „თირკმელთა ტკივილისაგან“ გამოწვეული ცხროს „კურნება ერთობ მარცხე არის“. ** ასევე „ღვიძლის ტკივილისაგან“ გამოწვეული „ცხრო“ „არს რომე ადვილად იწამლებოდეს, და არს რომე ძნელად იწამლებოდეს.“ ***

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 116.

** იქვე.

*** იქვე.

ვინაიდან ძველ ექიმებს გარდა კლინიკური მონაცემებისა, დამხმარე და ზოგჯერ დიაგნოზის დასმისთვის გადამწყვეტი სხვა მეთოდები ნაკლებად გააჩნდათ, ამიტომ „ცხროთა ბუნების შეტყობა“ პირველ დღეს შეუძლებელი იყო. „პირველად ესე იცოდით არცა კარულითა და არცა მაჯითა არა შეეტყობის, სადამდი არა გამოცხადდების. რა გამოცხადდეს კარულშიგაცა შეიტყობის და მაჯაშიგაც იცნობის.“*

„ცხროთა გამოცხადება“ კი შესაძლებელი იყო მხოლოდ კლინიკური დაკვირვებით დინამიკაში.

ზ. ფანასკერტელის მიხედვითაც ცხრონი „გაყოფილ არიან მრავალგუარად.“**¹ მათი გამოცნობა დამოკიდებულია მკურნალის ცოდნაზე, მის გამოცდილებაზე. „და ამით შეეტყუების მკურნალსა ჭელოვნება, რათა შეატყობდეს ცხროთა თავის-თავის, რათა ცნას, თუ რომელი ცხრო არის, ანუ რასაგან წაჰკიდებია... და როდეს ცნას დასტურობით, თუ რომელი ცხრო არისო. გაუადვილდეს მისი კურნება.“**² ამავე დროს ავტორის მიხედვით „ყოველმან იცის, ვითა არს ცხრო“***³.

„იადიგარ დაუდის“ ავტორი აღნიშნავს: „აწე ესე უნდა იცოდეთ ცხელება და ცივება ათი, თორმეტი რიგი არის, ზოგი სისხლისაგან, ზოგი ზაფრისაგან, ზოგი ბალღმისაგან, და ზოგი სევდისაგან იქნების, და ან არეულისა და წამხდრის ხილთებისაგან იქნების.“***.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყო მალარიის სხვადასხვა ფორმები „ცხროთა“ იმ მრავალრიცხოვანი დასახელებიდან, რომელიც მოცემულია ქართულ საექიმო წიგნებში (კარაბადინებში).

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“ გვ. 115. (1), 124 (2)

** ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი — „სამკურნალო წიგნი (კარაბადინი)“, გვ. 378 (1)(2), გვ. 379 (3).

*** დ. ბ ა ტ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი — „იადიგარ დაუდი“, გვ. 489.

პარაზიტოლოგიიდან ცნობილია, რომ არსებობს მალარიის ფორმები, რომელთაც თავთავიანთი გამომწვევი გააჩნიათ პლაზმოდუმთა გვარიდან: 1. სამდღიური მალარია (ახალი და რეციდივული ფორმა—გამომწვევი *p. vivax*), 2. ოთხდღიური მალარია (ახალი და რეციდივული ფორმა—გამომწვევი—*p. malariae*), 3. ტროპიკული მალარია (ახალი და რეციდივული ფორმა—გამომწვევი *p. falciparum*) და 4. მალარიის შერეული ფორმა.

სამდღიური მალარია — (Malaria tertiana)

სამდღიური მალარია, რომლის ძირითადი კლინიკური ნიშანი დღეგამოშვებით ტიპიურ შეტევებში გამოიხატება, ასეა მოცემული კარაბადინებში: „ცხრო ზაფრისა, რომელსა ქვიან ღიბი“* „ღიბისა ცხროჲ ორფერად იქნების ლაზიმაჲ და ნაბიაჲ.“** „ცხრო, რომელსა ჰრქუიან იტრიტეოს. და არს ესე ცხრო მესამისა, რომელი ერთსა დღესა მოუვა და ერთსა არა.“*** „ამა ცხელებას ყიბი დაირა ჰქუიან, და ესე ყიბი დაირის ცხელება ერთსა დღესა აცლის და ერთსა დღესა გააცხელებს“****¹.

როგორც დავინახეთ, სამდღიური მალარიის დასახელება აღნიშნულ საექიმო ძეგლებში იცვლება, ხოლო XVI საუკუნის „იადიგარ დაუდში“ სიცხიან დაავადებებს აღარ ეწოდება „ცხრო“, არამედ ისინი გაერთიანებულია ერთ „კარში“ „ფერად ფერადის ცხელებისა და ცივებისა.“****² აღნიშნული გარემოება მიუთითებს ქართველ მწიგნობარ ექიმებზე ამა თუ იმ (ბერძნული, ირანული, არაბული, დასავლეთ ევროპის) საექიმო მსოფლმხედველობის და სამკურნალო წიგნების გავლენის შესახებ. საბას „სიტყვის კონაში“ ამავე დაავადებას „ლევაია“ ეწოდება: „მეორე დღის ცხროებას, რომელ შუა ერთი დღე დარჩეს, ეწოდება ლევაია“*****.

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 124.

** ხ ო ჯ ა ყ ო ფ ი ლ ი — „წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 283.

*** ზ. ფ ა ნ ა ს კ ი რ ტ ე ლ ი — „სამკურნალო წიგნი (კარაბადინი)“, გვ. 397.

**** დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — „იადიგარ დაუდი“, გვ. 491 (1), 489 (2).

***** ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — „სიტყვის კონა, რომელ არს ლექსიკონი“, თბილისი, 1949, გვ. 436.

აი როგორაა დახასიათებული სამდღიური მალარია კარაბადინებში: „მისი ნიშანი ესე არის ერთსა ღღესა მოუვიდეს და მეორესა არა... ეგების კიდეცა არწყევინოს წყურვილი ნამეტნავად იყოს, თვალისა თეთრი გაუყვითლდეს და ნალულიანად იყოს ამის პატრონი. და რაი ესე ცხრო ზაფრისაგან შეიქნების ამით ნიშნითა შეიტყუეთ... თუ გარეგნით დალბების (ზაფრა—ს. ა. და ტ. ბ.) მაშინ მოუვა ესე ცხრო ერთობ სიცივითა და ბურძგლი ასტყდეს ამისგან [თუ შიგნით ძარღუთა დამპალიყოს მაშინ მოვიდეს უმიზეზოთ და ბურძგლი არა ასტყდეს ამისგან] მეტად რომე ერთსა ღღესა მოვიდეს და ერთსა ღღესა არა. და არს ესე ცხრო ნამეტნავად მხურვალი და ხმელი და მწველი, გავს ცეცხლსა, როდეს გამოვა გარეთ ასტეხს ბურძგლსა. ესე ცხრო იქნების რომე კუერცხის გულსა არწყევინებდეს და დაყოფს ესე ცხრო ჟამსა თორმეტსა გუამს შინა კაცისასა და მოუვა ესე ცხრო შუიღჯერ, და იქნების ესეცა რომე თორმეტსა მოუვიდეს და იყოს მწოვედ მწყურვალი, და მწოვედ ცხლად იყოს, და მწოვედ თავი სტკიოდეს, და საუბარი არ მოუწოდებოდეს, და არცა მოუწოდებოდეს საჭამადი, და არცა დაეძინებოდეს და თავი სუბუქად ედგას და ზოგჯერ ხელნი და ფერხნი გაუცივდებიან ამისთვისა რომე სიცხე შიგნით მოექცევის და გაშავდების. ჟამსა ოფლი გამოვა დიდი, და ფსელი იყოს ცეცხლისა მსგავსი და მაჯაში მისი იყოს მოსულამდე ცოტა და რა მოვიდეს უკან და უკან გაძლიერდეს და სცემდეს მალედ“...^{*1} ცხელებაში მყოფ ადამიანს „ასტკივდებოდეს ტანი ყუელგან და ელეწებოდეს წელი და იყოს ტკივილი სახსართა“...^{*2} „ცხროში“ მყოფს „დიდი რწყევა დამართებოდეს, ანუ დიდისა ოფლისა დენითა, ანუ დიდითა გახსნილობითა“^{*3}.

ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოჲში“ ღიბისა ცხროჲ (სამდღიური მალარია—ს. ა. და ტ. ბ.) ასეა აღწერილი: „ვითარებაჲ ცხროჲსა ღიბისა ლაზიმადსი. იოჰანა იტყვის: ღიბისა ცხროჲ ზაფრისაგან კიდე არარაჲსაგან იქნების და

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 124 (1), 126 (2), 127(3).

იგი ორი ფერი არს: ერთსა ლაზიმაჲ ჰქვიან და მეორესა ნაბიაჲ. და ლაზიმაჲ მისგან იქნების რომელ ზაფრამ ძარღვთა ქუეშე დამბალ იყოს.

ნიშანი ცხრომსა ლაზიმაჲსი. იგი არს, რომელ ერთსა დღესა მოვიდეს ძნელად და თრთოლოს და აწყურვოს და დია აწყინოს, და კჳლა რაჲ მოვიდეს სუსთად იყოს და არ ეგრე აწყინოს^{*1}.

„ვითარებაჲ ცხრომსა ღიბისა ნუბიაჲსი. (უნდა იყოს ნაბიაჲსი“ ლ. კოტეტიშვილი 1936). მეორე ცხრომ იგი არს, რომელ ერთსა დღესა მოვიდოდეს და მეორესა არ მოვიდოდეს და ესე ცხრომ მის ზაფრისაგან იქნების, რომელ ტანისა ძარღვთა შიგან დამბალ იყოს და მანკიანად გასრულ იყოს.

ნიშანი მისი. იგი არს, რომელ რაჲ მოვიდეს ძნელად იყოს და სიმხურვალე მაგალითი ტანსა ზედა გამოჩნდეს, და ოფლი დია გამოეცეს, მაგრა მშვიდობისა იყოს, და თოთხმეტსა დღისგან უფრო არ იყოს ამისი მანკი.

...გაყოფა ღიბისა ლაზიმაჲსა ცხრომსა და ღიბი ნუბიაჲსა შუვაჲ იგი არს, რომელ ღიბი ლაზიმაჲ ყოველთა დღეთა მოვა და დღესა ერთსა დია ძნელად მოვა და მეორესა საჭლად მოვა, და მით ჰქვიან არაბულად ლაზიმაჲ რომელ მიწყით მოვა, და ღიბი ნაბიაჲ ერთხელ აცხროებს და მეორესა დღესა არ აცხრობს, რიგსა ზედა მოვა, და არაბულად რიგსა ნავბაჲ ჰქვიან, და მით ჰქვიან მას ნაბიაჲ^{*2}.

ზ. ფანასკერტელს შემდეგნაირად აქვს აღწერილი მალურიის იგივე ფორმა: „ცხრო, რომელსა ჰრქვიან იტრიტეოს. და არს ესე ცხრო მესამისა, რომელ ერთსა დღესა მოუვა და ერთსა არა (ამ სტრიქონის გასწვრივ არშიაზეა: „ზაფრისა ცხრო“—მ. სააკაშვილი, 1950). ...„უკეთუ დაღბეს კუერცხისა გული ნავლელი გარეგნით ძარღვთა, დაუწყოს ამან ცხრომან ბურძგლთა წატეხა და სიცივედ დიდად. და თუ ძარღვთა შიგნით

* ხოჯაყოფილი—„წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 283(1), 284(2).

იყოს, არა შეიქმნას ბუროკრატია წატეხა, განა შეიქმნას უმი-
ზეზოდ ცხროდ, რომელ მოუტდეს ერთსა დღესა და ერთსა არა.

ლიბი ჰქუიან, ანუ ცხრო, რომელსა ჰქუიან კეცოს.
და არს ესე ცხრო დამწველი და ესე უმიზეზო ცხრო დღესა
შეიპყრობს და დღესა არა. ცხრო კეცოსი ამისგან შეიქ-
მნების და უფრო მჭურვალნი არს ამის უწინათისასა. და იყოს
ბუროკრატისა წატეხა... და იყოს ესე ცხრო, რომელ ათხევდეს
კუერცხისა გულსა. და უფრო ხოლო დააყოფს ესე ცხრო ჟამსა
თორმეტსა გუამსა შინა კაცისასა. და უფრო მოვლის ესე ცხრო
შუიღჯერი და არს დღე, თუ თორმეტი იყოს შიგან წყურილი
დიდი და სიმჭურვალე და ტკივილი თავისა. და რომელი შე-
იპყრას ამა ცხრომან, არა ჰნებავს მას კაცსა საზრახავი და
არცა მოუხდების საჭამადი და არცა დაეძინების. და თავი
სუბუქად ედგას და ზოგჯერ კელნი და ფერკნი გაუსივდენ, რა-
ოდენ სიმჭურვალე, შიგნით მოექცეს. და ოფლი გამოადგეს
გატეობისა ჟამსა, დიდად ოფლი იყოს ცხელი მსგავსი [...] და
მაჯასა მისი უწინა ხოლო იყოს ცხელი მცირედ, როდეს ცხრო-
მან შეიპყრას, და როდეს გაძრიელდეს სიმჭურვალე, მერმე
იყოს დიდად მალე“*.

დ. ბატონიშვილის „იადიგარ დაუდში“ შედარებით მოკ-
ლე ცნობებია სამდღიურ მაღარიაზე: „და თუ ესე საფრა, რო-
მე ძარლუსა გარეთ არის, და ესე საფრა ძარლუსა გარეთ წაუხ-
და და მით აცხელებს ამა ცხელებას ყიბი დაირა ჰქუიან, და
ესე ყიბი დაირის ცხელება ერთსა დღესა აცლის და ერთსა
დღესა გააცხელებს.“**1.

„ცხელება მწოვედ მოუვა, მწოვედ გააცხელებს და გაა-
ხურვებს, და წყურილი შეწუხება და სულის შევიწრება
მწოვედ ექნების, და როდისცა დროზედ გააციოს და გააცხე-
ლოს და ბორჯალი გაუთავდეს, გათავების დროს ოფლს დაას-
ხამს და მერმე გაუშვებს, და მაჯის ძარლვიცა აშლით და არე-
ვით ჰქონდეს.“**2.

* ზ. თანასკერტელი — „სამკურნალო წიგნი (კარაბადინი)“, გვ. 397—398.

** დ. ბატონიშვილი — „იადიგარ დაუდი“, გვ. 491 (1), 492 (2).

ამა ცხელებისა პირველი თავის აღება ეს არის რომე, კაც-სა პირველ წოდინსა დაწყებინებს, და მერე გააცივებს და თრთოლასა დააწყებინებს და ცივება და ცხელებისაგან უფრო ცოტა ექნების... ამა ცხელებისა ნობათი ოთხის საათიდან მან თორმეტ საათამდის იქნების.“*

როგორც ჩანს, დ. ბატონიშვილსაც ჰქონდა შენიშნული, რომ სამდღიურ მალარიას სხვადასხვაგვარი მიმდინარეობა ახასიათებს.

„და თუ ამისგან უფრო (ლაპარაკია „ყიბი დაირაზე“—ს. ა. და ტ. ბ.) გააცხელებს, ამა ცხელებასა სახელად დეირი ხალისი ჰქუიან და თუ ესე ცხელება ხალისის ცხელება არის შვიდისა საათიდან მან არ გადააჭარბებს. და რა შვიდი საათი გათავდების გაუშვებს, და ესე ხალისის ცხელება შვიდჯერ მეტად არც კი მოუვა, თუ არ კაცი შეირყუნის და უმსგავსოს საჰმელსა სჭამს“...*

მოყვანილი ამონაწერებიდან ირკვევა შემდეგი: სამდღიურ მალარიას („ლიბი“, „ლიბისა ცხრო“, „იტრიტეოსი“, „ყიბი დაირა“), ანუ „ცხრო მესამისას“ ახასიათებს დღეგამოშვებითი შეტევები ძლიერი შეცივებით („მოუვა ესე ცხრო ერთობ სიცივითა და ბურძგლი ასტყდეს...“** „მოვიდეს ძნელად და ათრთოლოს“...*** „დაუწყოს ამათ ცხრომან ბურძგლთა წატეხა და სიცივედ დიდად****1 „...და როდეს გამოვიდეს გარეგნით შე- (ი) ქმს ბურძგლსა“****2, მაღალი სიცხით და ოფლით („და არს ესე ცხრო ნამეტნავად მხურვალი და ხმელი და მწველი, გავს ცეცხლსა“ „...და მწოვედ ცხლად იყოს“*** „არს ესე ცხრო დამწველი... უფრო მხურვალი... როდეს ცხრომან შეიპყრას და... გაძლიერდეს სიმკურვალე.“***3 „ცხელება მწოვედ მოუვა, მწოვედ გააცხელებს და გაახურვებს“. „უამსა ოფ-

* დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი—„იადიგარ დაუდი“, გვ. 492.

** ქ ა ნ ა ნ ე ლ ი—„უსწორო კარაბადინი“, გვ. 124.

*** ხოჯაყოფილი—„წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 283.

**** ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი — „სამკურნალო წიგნი“, გვ. 397 (1), 391 (2), 398 (3).

ლი გამოვა დიდი“.*¹ „და ოფლი დია გამოეცეს“.*² „და ოფლი გამოადგეს გატეობისა ჟამსა, დიდად ოფლი იყოს ცხელი“.*³ „...„გათავების დროს ოფლს დაასხამს“****).

მაღარიულ შეტევებს მძაფრი ხასიათი აქვს, ზოგჯერ აღგილი აქვს პირღებინებას („ეგების კიდეცა არწყევინოს“... „ესე ცხრო იქნების რომე კუერცხისა გულსა არწყევინებდეს“²... „დიდი რწყევა დამართებოდეს“³. „დია აწყინოს“² ... „ათხევდეს კუერცხის გულსა“²). ავადმყოფი უხალისოდაა, მოწყენილია, შადა დაკარგული აქვს („ნალულიანად იყოს ამის პატრონი“... „საუბარი არ მოუნდებოდეს და არცა მოუნდებოდეს საჭამადი“⁴. „არა ჰნებავეს მას კაცსა საზარახავი და არცა მოუნდების საჭამადი.“³ „სულის შევიწროება მწოვედ ექნების“****), უჩივის ტკივილს, უძილობას, („მწოვედ თავი სტკიოდეს“... არცა დაეძინებოდეს“...⁵ „იყოს...ტკივილი თავისა... არცა დაეძინების“****), ვითარდება ანემია და სიყვითლე („თვალისა თეთრი გაუყვითლდეს... თავი სუბუქად ედგას“⁶) „რასაც მოსდევს ორგანიზმის საერთო დასუსტება და სხეულის შეშუპება („ზოგჯერ ჯელნი და ფერკნი გაუსივდნენ“¹), ცვლილებებს განიცდის გულ-სისხლძარღვთა სისტემა, შეცევებს შუა პერიოდში მაჯა შესუსტებულია „მაჯაში მისი იყოს მოსულამდე ცოტა“...⁷ „და მაჯასა მისი უწინა...იყოს ცხელი მცირედ“****), შეტევის დროს კი დაჭიმული და აჩქარებული („და რა მოვიდეს უკან და უკან გაძლიერდეს და სცემდეს მალედ“⁸. „როდეს ცხრომან შეიბყრას, და როდეს გაძლიერდეს სიმკურვალე, მერმე იყოს დიდად მალე“****). ცხელებაში მყოფ ავადმყოფს უძლიერდება წყურვილი („წყურვილი ნამეტნავად იყოს“⁹, „იყოს

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაზადინი“, გვ. 124 (1) (2) გვ. 127 (3) გვ. 124(4), (5) (6) (7) (8) (9).

** ხ ო ჯ ა ყ ო ფ ი ლ ი — „წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 284 (1) გვ. 283 (2).

*** ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი — „სამკურნალო წიგნი“, გვ. 397 (1), (2) (3) (4) (5), 398 (6).

**** დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, „იადიგარ დაუდი“, გვ. 492.

შიგან წყურილი დიდი“^{*1}. „და წყურვილი, შეწუხება... მწო-
ვედ ექნების“^{**1}.

მაღარიული შეტევა მთავრდება ოფლის ძლიერი გამო-
დენით („და ოფლი დია გამოეცეს, მაგრა მშვიდობისა იყოს.“^{*1}
„და ოფლი გამოადგეს გატეობისა ჟამსა“^{*2}. „გათავების დროს
ოფლს დაასხამს და მერმე გაუშვებს“^{**2}). შეტევის ხანგრძლი-
ობა 12 საათს არ აღემატება („დაყოფს ესე ცხრო ჟამსა თორ-
მეტსა გუამს შინა კაცისასა.“^{***1} „ხოლო დაყოფს ესე ცხრო
ჟამსა თორმეტსა გუამსა შინა კაცისასა.“^{*3} „ამა ცხელებისა
ნობათი ოთხის საათიდადმან თორმეტ სათამდის იქნების“^{***3}).
შეციების პერიოდი უფრო მოკლეა სიცხის სტადიის ხანგრძლი-
ობასთან შედარებით. („ცივება... ცხელებისაგან უფრო ცოტა
ექნების“^{***4}).

საგულისხმოა ძველ ექიმთა დაკვირვება შეტევათა სიხში-
რეზე. ოთხივე ავტორის მიხედვით, შეტევები მეტწილად შვიდ-
ჯერ მეორდება („და მოუვა ესე ცხრო შუიდჯერ“^{****2} ან „და
უფრო მოვლის ისე ცხრო შუიდჯერი“^{*4}. „და ესე ხალისის
ცხელება შვიდჯერ მეტად არც კი მოუვა“^{**5}) და დაავადების
ხანგრძლიობა 14 დღეს არ აღემატება („და თოთხმეტისა დღის-
გან უფროდ არ იყოს ამისი მანკი“^{****2}). თუმცა ზოგჯერ შეტევე-
ბი შეიძლება 14-ჯერაც გაუმეოროს ავადმყოფს („იქნების ესე-
ცა რომე თოთხმეტსა მოუვიდეს“^{****3}). რასაკვირველია, იმ
დროისათვის შეუძლებელი იყო შეტევათა სიხშირის ახსნა იმუ-
ნიტეტის გამომუშავებით, მაგრამ ფაქტი სწორადაა შენიშნული
და გადმოცემული.

აღსანიშნავია, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ მაღა-
რიული პაროქსიზმების „სპონტანურად“ შეწყვეტაზე შეხედუ-

* ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი — „სამკურნალო წიგნი“, გვ. 397 (1),
(2) (3) (4).

** დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — „იადიგარ დაუდი“, გვ. 492 (1) (2)
(3) (4) 5.

*** ხ ო ჯ ა ყ ო ფ ი ლ ი — „წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 284 (1) (2).

**** ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „ესწორო კარაბადინი“, გვ. 124 (1) (2) (3).

ლება ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მცხოვრებთა შორის და შემორჩა ჩვენ დრომდე. ამაზე ხალხი იტყოდა: „ციება უსწორებსო“, ე. ი. კვირის იმავე დღესვე (7, 14, 21 დღის შემდეგ) შეტევები წყდებოდა მკურნალობის გარეშეც.

საინტერესოა, რომ უყურადღებოდ არაა დატოვებული ცხელებაში მყოფი ავადმყოფის შარდი, რომელიც იღებს წითელ შეფერილობას („და ფსელი იყოს ცეცხლისა მსგავსი“^{*1}) და დისპეფსიის მოვლენები („დამართებოდეს... დიდითა გახსნილობითა“^{*2}).

მაღარიული პაროქსიზმების ზემომოყვანილი დახასიათება ძველი საექიმო კარაბადინების მიხედვით თითქმის მთლიანად შეესაბამება მის თანამედროვე კლინიკურ აღწერას, ასე მაგალითად, ე. ტარეევი (1946) შემდეგნაირად აგვიწერს ტიპურ მაღარიულ პაროქსიზმს: „ტიპური მაღარიული პაროქსიზმი იწყება დილით (შუადღემდე) შეციებით, სიცხის ხანგრძლივი სტადიით და მთავრდება ოფლიანობით. მთელი პაროქსიზმი გრძელდება 6—10—12 საათი, ხასიათდება ტემპერატურის სწრაფი „რაკეტისებური“ მომატებით 40—41°-მდე და მეტადაც; უფრო დამახასიათებელია და ავადმყოფთა წარმოდგენაშიც უფრო აღიბეჭდება შეციება (rigor), რომელიც ჩვეულებრივ სახეზეა წაშლილი შეტევების დროსაც; პაროქსიზმების დაწყების დროს ავადმყოფები ჩვეულებრივ უჩივიან თავის ტკივილს, პირღებინებას, ტკივილს წელის არეში, კიდურებში^{**1}. „მკურნალობის გარეშე შეტევათა მორიგეობითი რიცხვი შეიძლება 10—12 აღწევდეს“^{**2}.

ცნობილია, რომ სამდღიური მაღარიის პირველადი შეტევის დროს, ცხელება ყოველდღიური ტიპისაა. შეიძლება იყოს აგრეთვე მუდმივი და სუბკონტინუას ტიპის. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით ხშირია მძიმე ეპიდემიური აფეთქების დროს (ე. ტარეევი, 1946). ამიტომ გასაგებია, რომ ხოჯაყოფილს სამდღიური მაღარიის („ღიბისა ცხროდ“-ს,

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 124 (1), 127 (2).

** Е. М. Тареев — „Клиника малярии“. Медгиз, 1946, გვ. 10 (1). 12 (2).

ს. ა. და ტ. ბ.) მიმდინარეობაში ორგვარი ტიპი აქვს შენიშნული („ლიბისა ცხროდ... ორი ფერი არს“). მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ „ცხროსა ლაზიმაჲს“ დროს დაავადების დასაწყისში მალარიულ შეტევებს არა აქვთ სამდლიური მალარიისათვის დამახასიათებელი ნიშანი დღეგამოშვებითი ცხელებისა, არამედ შეტევებს ყოველდღიური ხასიათი აქვთ („ერთსა დღესა მოვიდეს ძნელად და თრთოლოს და აწყურვოს და ღია აწყინოს, და კულა რაჲ მოვიდეს სუსთად იყოს და არ ეგრე აწყინოს“), „ლიბი ნუბიაჲს“ კი ახასიათებს ტიპური დღეგამოშვებითი შეტევები, და მათ შორის განსხვავება ამაში მდგომარეობს: „ლიბი ლაზიმაჲს ყოველთა დღეთა მოვა. და დღესა ერთსა ღია ძნელად მოვა და მეორესა საჰლად მოვა, და მით ჰქვიან არაბულად, ლაზიმაჲს რომელ მიწყით მოვა, და ღიბა ნაბიაჲ ერთხელ აცხროებს და მეორესა დღეს არ აცხრობს, რიგსა ზედა მოვა, და არაბულად რიგსა ნავბაჲ ჰქვიან“*.

როგორც ზემოთ დავინახეთ, (გვ. 19), სამდლიური მალარიის მიმდინარეობაში ორგვარი ტიპი აღწერილი აქვს „იადიგარ დაუდის“ ავტორსაც.

აქვე აღსანიშნავია ჰეპატოლიენალური სინდრომის აღწერა მალარიული შეტევების დროს, რაც უახლოეს საუკუნეებში შევიდა როგორც დამახასიათებელი ტრიადის ერთ-ერთი ნაშანი ამ დაავადების დროს. კარაბადინების მიხედვით მალარიულ ცხელებაში მყოფ ადამიანს უდიდებოდა ღვიძლი და ელენთა. ზოგჯერ უვითარებოდა სიყვითლე.

„იარაყანი ამასა ქუიან რომე, კაცსა თუალისა სითეთრე გაუყვითლდეს და ტანზედაცა გაყუითლდეს. ესე ოთხისაგან იქნების... მეორე ძნელისა ზაფრისა ცხროსაგან, რომე ერთსა დღესა მოუვა და ერთსა არა და კვალად მესამესა დღესა მოუვა. ესე ცხრო მხურვალე ცხრო არის და აშფოთდების. და მეშვიდესა დღესა თუ გამოჩნდეს სიყვითლე, საშიშარი არის სნეულისათვის“**.

* ხოჯაყოფილი — „წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 284.

** ქანანელი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 310.

საგან არის, ერთი სიმხურვალისაგან, მისი ნიშანი ის არის, რომე მარცხენამან გვერდმან დაუწყოს ტკივილი...“*

„ელნეთისა სიმსივნე უფროესი მხურვალითა ცხროდთაგან იქნების და ელნეთი გამაგრდების, და ეგების რომელ ცხროდორფერად იყოს ანუ სისხლისა სიმეტისაგან ანუ ზაფრისა სიფიცხისაგან იყოს რომელ გამოჩნდეს ელნეთი გაასვოს ეგრე“**.

„და ჰგავს ესე ცხრო, რომელი წაეკიდების კაციისა სტომაქსა... სიმსივნე მგზავსი მის ცხროსა ძნელისა...“

„და თუ იყოს, სიმსივნე ქუეშე კერძსა ღუიძლისასა სიმჟურვლისგან, მისი ნიშანი ესე იყოს, რომ ს[ა]ჭამ[ა]დისა ჭამად და[ა]კლდეს და არა ემეოდეს, და გამრ[ა]ვლდეს და გ[ა]უდიდდეს ზაფრა და სწყურდებოდეს ერთობ“***1

„და ყუითელი, რომელი იქმნების ცხროსა ძნელსა თანა, ისი ასრე იქნების, რომე უწინა ცხრო შეექნების მჟურვ[ა]ლი, რომელ არს,—ერთსა დღესა რომე მოუვა და ერთსა არ მოუვა, და მეს[ა]მესა კიდევე მოუვა. ეს ცხრო ზაფრისგან იქნების. უწინა ამ წესითა წაეკიდების და მერმე მეშუიდედა დღესა აშფოთლების და გაყუითლების კაცი, და ისი დღე საშიშარ[ი] იმა სნეულისათუის“***2.

„ასრე იქნების რომე, კაცსა ტყირპი შეექნას და გაუმაგრდეს.“****

ე. ტარეევი წერს: „უახლოესი პაროქსიზმებისთანავე ვითარდება ტიპური კლინიკური ტრიადა—ელნეთის, ღუიძლის, სისხლწარმომქმნელ ორგანოთა რეაქცია, რასაც თან სდევს მარჯვენა და მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში ტკივილი და გარე საფარველთა მოყვითალო ფერი.“*****

* ქანანელი—„უსწორო კარაბადინი“, გვ. 315.

** ხოჯაყოფილი—„წიგნი სააქიმო“, გვ. 197—198.

*** ზ. ფანასკერტელი—„სამკურნალო წიგნი“, გვ. 196 (1), 233 (2).

**** დ. ბატონიშვილი—„იადიგარ დაუდი“, გვ. 492.

***** Е. М. Тареев—„Клиника малярии“, Медгиз, 1946, გვ. 12.

ამგვარად, ძველი საექიმო წიგნების ავტორთა მიერ სწორადაა შენიშნული და აღწერილი ზემომოყვანილი ფაქტი. აღსანიშნავია, რომ ღვიძლის გადიდება და სიყვითლე სხვა დაავადებების დროსაცაა აღწერილი, მაგრამ სპლენომეგალია „უფროდ“ სი მხურვალითა ცხროთაგან იქნების“; *¹ მალარიის დროს ელენტაში ვითარდება შემაერთებული ქსოვილი—ელენტის ფიბროზი „და ელნეთი გამაგრდების“... **² „კაცსა ტყირპი შეექნას და გაუმაგრდეს.“ ***

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ „ცხროში მყოფ ადამიანში სიყვითლის განვითარების ვადა საპროგნოზო მნიშვნელობის იყო. „[თუ] შვიდსა დღესა უწინა დაემართების საშიში არის და თუ შვიდსა დღესა უკანით დაემართების სიყვითლე უფრო უზიანო არის.“ ***¹

„და მეშვიდესა დღესა თუ გამოჩნდეს სიყვითლე, საშიშარი არის სნეულისათვის“... ***²

„მერმე მეშუიდესა დღესა აშფოთდების და გაყუთითლდების კაცი და ისი დღე საშიშარ[ია] იმა სნეულისათვის.“ ****

შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში შემდეგნაირად წარმოგვიდგეს საკითხი: მალარიული შეტევებისას შვიდ დღემდე სიყვითლის გაჩენა უთუოდ თანდართული მწვავე მალარიული ჰეპატიტის შედეგი იქნებოდა, რაც თავის მხრივ დაამძიმებდა მალარიის მიმდინარეობას, ხოლო მეშვიდე დღის შემდეგ განვითარებული „სიყვითლე“ ანემიასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რაც პროგნოზულად უფრო კარგი მაჩვენებელი იყო. იმისდა მიხედვით სიყვითლე („იარაყანი“) „ამა ცხროსა ზედა თუ დაემართების“ ან „ცხროთა შინა რომელსა ფერი გაუყვითლდეს“, ანდა „[თუ] იარაყანი გამოაჩნდეს სნეულსა ამისთანა როგორცა ცხრო უკუეყაროს“ მკურნალობა სხვადასხვანაირი იყო მოწოდებული.

* ხოჯაყოფილი—„წიგნი საექიმო“, გვ. 197 (1), 198 (2).

** დ. ბატონიშვილი—„იადიგარ დაუდი“, გვ. 492.

*** ქანანელი—„უსწორო კარაბადინი“, გვ. 129 (1), 310 (2).

**** ზ. ფანასკერტელი—„საკურნალო წიგნი“, გვ. 233.

რასაკვირველია, ბუნებრივია რომ სამდღიური მა-
ლარიის გამომწვევად XI — XVI საუკუნეებში (გაცილე-
ბით ადრე მიკროსკოპისა და მალარიის პარაზიტების აღმოჩე-
ნამდე) ძველი დროის ექიმებს სხეულის ერთ-ერთი ჰუმორა-
ლური კომპონენტი წარმოედგინათ:

„ესე ცხრო ზაფრისაგან შეიქნების“...^{*1}

„ლიბისა ცხროჲ ზაფრისაგან კიდე არარაისგან იქნების“^{**1}.

მაგრამ ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართვე-
ლი მწიგნობარი ექიმები ზოგჯერ გვერდს უხვევენ დოგმატურ
ჰუმორალურ თეორიას დაავადების მიზეზთა დადგენის დროს
და შენიშნავენ ჯანმრთელი ადამიანის უეცრად „უმიზეზოდ“
ავად გახდომას სამდღიური მალარიით: „მაშინ მოვიდეს უმი-
ზეზოთ“^{*1} ან „შეექმნას უმიზეზოდ ცხროდ“^{***}. ეს და ქვე-
მოთ მოყვანილი ტექსტობრივი მასალა გარკვევით მიუთითებს
ჩვენს წინაპართა სწორ ეპიდემიოლოგიური ხასიათის აზროვნე-
ბაზე. კერძოდ, სამდღიური მალარიის ეპიდემიოლოგია ასეა
წარმოდგენილი:

„ესე ცხრო უფრო დაემართების ახალ მოწიფულობისა
ჟამსა დღეთა ზაფხულისათა და ვინ იყოს სიმპტურვალისა ბუ-
ნებათა, ანუ შეექნების ესე ცხრო ვის შეწყენით ყოფა გაუგრ-
ძელდეს და ან საჭამადისა მხურვალისაგან ესე არის მიზეზი
ამის ცხროსა რომელი გვითქვამს...“^{*2}

„ყმათა კაცთა წაეკიდების, და ეგეთთა კაცთა რომელ
მხურვალთა საჭამადთა დია ქამდეს და ღვინოსა სუმიდენ, და
დიაცისა მოხვნისათვის ხარბნი იყვნენ. მით მოერევის მათ
ბუნებასა ზაფრაჲ და ავნებს...“^{*2}

„და ესე ცხრო შეიბყრობს სიჭაბუკისა დღეთა ჟამთა ზა-
ფხულისათა და ვის შინა იყოს ბუნება სიმპტურვალისა. ანუ შე-
ექმნას ესე ცხრო ვის შეჭირვება გაუმრავლდეს, ანუ საჭამადისა

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 124 (1), 124—125 (2).

** ხ ო ჯ ა ყ ო ფ ი ლ ი — „წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 283 (1), 283—284 (2).

*** ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი — „სამკურნალო წიგნი“, გვ. 397.

მხურვალისაგან. და ესე არის მიზეზი, რომელსა შინა შეიქმნების ცხრო ესე და ამით ცან“*.

„და ესეცა უნდა იცოდეთ რომე, თუ ესე ცხელება და ციგება („ყიბი დაირა“—ს. ა. და ტ. ბ.) ზაფხულის შეეყრების, უფრო და უფრო გაუშვებს, და თუ შემოდგომაში შეეყრების უფრო ძნელად და გვიან გაუშვებს. და უფროსი ერთი ასრე იქნების რომე... ცხელება და ციგება ზამთრის შეჰყვეს და გაზაფხულამდისა გაჰყუეს, და არცა მაშინ გაუშვას“.**

მაშასადამე, სამდღიური მალარია „დაემართების“ ზაფხულში და უფრო ბავშვთა ასაკში აღინიშნება („დაემართების ახალ მოწიფულობისა ჟამსა დღეთა ზაფხულისათა“***) ან „შეიბყრობს სიჭაბუკისა დღეთა ჟამთა ზაფხულისათა“. „ესე ცხელება და ციგება ზაფხულის შეეყრების.“** ეს დაკვირვება ფრიად მნიშვნელოვანია და სწორად წარმოგვიდგენს მალარიის ამ ფორმის ეპიდემიოლოგიას.

როგორც ვხედავთ, მალარიოლოგიის მეცნიერულ საფუძვლებზე დაყენებამდე გაცილებით ადრე საქართველოს ძველ სწავლულ ექიმთა შორის სწორი შეხედულება არსებობდა ამ საკითხზე.

მოყვანილი ამონაწერებიდან ირკვევა, რომ ჩვენს წინაპრებს მალარია სეზონურ დაავადებად მიაჩნდათ და მათთვის უცნობი იმუნიტეტის ფაქტორის გამო ენდემიური მალარია მეტწილად „ახალ მოწიფულობისა ჟამსა დაემართების.“

შემდეგი საყურადღებო ფაქტია საკვები რაციონის, დიეტური რეჟიმის დარღვევასთან მალარიის რეციდივების დაკავშირება. გასაგებია, რომ ძველ ექიმებს არ შეიძლება სცოდნოდათ რეციდივის ბუნება, მაგრამ სწორად იყო შენიშნული, რომ „ესე ცხრო... შეექნების საჭამადისა მხურვალისაგან“ ან „წიკიდების... ეგეთთა კაცთა რომელ მხურვალთა საჭამადთა ღია ჭამდეს და ღვინოსა სუმიდენ“... გარდა ამისა, „ცხროს“ მიზეზი (უნდა ვიფიქროთ, როგორც საპროვოკაციო ფაქტორი—ს. ა. და

* ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი—„სამკურნალო წიგნი“, გვ. 398.

** დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი—„იადიგარ დაუდი“, გვ. 492.

*** ქ ა ნ ა ნ ე ლ ი—„უსწორთ კარაბადინი“, გვ. 124—125.

ტ. ბ.) იყო აგრეთვე ავადმყოფთა სხვადასხვა ფსიქიკური განცდები ან ორგანიზმის რაიმე დაავადება: „ანუ შეექნების ასე ცხრო ვის შეწყენით ყოფა გაუგრძელდეს“ „ანუ შეექმნას ესე ცხრო ვის შეჭირვება გაუმრავლდეს“...

სამდლიური მალარიის ხშირ რეციდივებზე უფრო გარკვევით მითითება „იადიგარ დაუდშია“. ამ საექიმო ძეგლის მიხედვით, „ყიბი დაირა“ (სამდლიური მალარია—ს. ა. და ტ. ბ.) „დაემართების“ წელიწადის ყველა დროში. მაგრამ საგულისხმოა შემდეგი დაკვირვება: თუ ზაფხულში „შეეყრების“ ეს დაავადება, მაშინ უფრო მალე „გაუშვებს“. აქ უთუოდ გვიან, შორეულ რეციდივებზეა ლაპარაკი, რომლის შემდეგ ავადმყოფი მალარიული ინფექციისაგან თავისუფალია თუ ადგილი არ ექნა რეინფექციას. გვიან ზაფხულში ან შემოდგომაზე სამდლიური მალარიით დაავადება ახალი ინვაზიის შედეგია, რის გამო „უფრო ძნელად და გვიან გაუშვებს“. მდგრადი ფორმების დროს შესაძლებელია „ცხლება და ცივება ზამთრის შეჰყუეს და გაზაფხულამდისა გაჰყუეს, და არცა მაშინ გაუშვას.“ ამ ამონაწერიდან მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ზამთარ-გაზაფხულზე მალარიული შეტევები შემოდგომაზე მიღებულ ინვაზიას უკავშირდება და, ამგვარად, სამდლიური მალარია წარმოდგენილია, როგორც ხშირი რეციდივების მქონე დაავადება.

ოთხდღიური მალარია—(Malaria quartana)

ცნობილია, რომ ოთხდღიური მალარია ხასიათდება თავისებური კლინიკური მიმდინარეობით და ეპიდემიოლოგიით. ამის გამოხატულება გვხვდება აგრეთვე ძველ საექიმო ძეგლებში. მოგვყავს შესაფერისი ამონაწერები მათგან.

„ი. დ. ცხრო. შავის ნალულისა, რომელ არს სევდა. ესე ცხრო ერთსა დღესა მოუვა და ორსა დღესა გაუშვებს, ამა ცხროსა სპარსულად თაბი ჩარუმ ჰქვიან, ნიშანი ესე იყოს, ერთსა დღესა მოუვა და ორსა გაუშვებს და მეოთხესა დღესა კიდევ მოუვა, ამა ცხროებსა შიგა ამის უარესი ცხრო არ არის, თუ ძარღუთა შიგა დამაგრდეს და დაძველდეს ძნელად გამოიღების. ესე ცხრო ეგების ორსა წელიწადსა ან გაეყაროს, იქნების ერთსა წელიწადსა გაგრძელდენ. და თუ ერთობ კარგათ უწამლონ ნახევარ წლამდის მიჰყუების“*1.

„ესე ცხრო მუდამ ერთსა ჟამსა მოუვა, და თუ იქციოს ისი ჟამი და სხუასა ჟამსა მოუვა გაუშვების ნიშანია“*2.

„არს ესე ცხრო რიბი: ...მისგან იქნების ესე ცხრო, რომელ ერთსა დღესა მოუვიდოდეს, ორსა გაუშვებს და მეოთხესა ისევ მოუვა. და იცოდი რა ესე ცხრო იქნებოდეს, უწინა სცან შეშლილნი ცხრონი მოუვლენ და ოთხისა დღისა ცხრო გამოუჩნდების, უწინა სიცივითა არა იყოს და ესე ცხრო მწოვედ დასტანჯავს ტანსა, სადამდის არ გახურდეს ცხრო. და დაჰყოფს ესე ცხრო ტანსა შინა ოცდა ოთხსა ჟამსა.

და თუ შექნილ იყოს ესე ცხრო ყუითლისა ნავლისა დამწვრისაგან, მაშინ ოცდა ოთხსა ჟამსა უმცრო დაყოფს ტანსა

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი—„უსწორო კარაბადინი“, გვ. 131 (1), 132 (2).“

შიგან. და თუ იყოს ბაღმისა დამწუარისაგან მაშინ უფრო გრძლად დაყოფს.

„და უფრო დაემართების ესე ცხრო შუა კაცობისა ჟამა და ვინ იყოს მუდამ ცივსა ადგილსა. და ვინ ზროხისა ხორცსა და თევზსა კალნაბსა მუდამ ჭამდეს, ამათგან შეექნების ესე ცხრო და განმრთელდების. ესე ცხრო ზამთრის შეექნების და ზაფხულის გაუშუებს. ერთობ ძნელი ცხრო არის, ორ წლამდის მიყვების*1“.

„სხუა ნიშანი ამის ცხროსა რიბისა რომელსა ჰქვიათ, თაბი ჩარუმი რომე ერთსა დღესა მოუვა და ორსა გაუშუებს და მეოთხესა კიდევ მოუვა. ესე ცხრო სისხლისა, ზაფხრისა, და სევდისაგან და ბაღმისაგან დამწუარისაგან იქნების.

„ნიშანი მისი ცალკე გასწავლოთ: თუ ესე ცხრო კაცს ჩვიდმეტისაგან უმცრო და სისხლისა დიდისა უფალი და გაზაფხული იყოს, და ამას მეოთხისა დღისა ცხრო დაემართოს თაბი ჩარუმი... იცოდით რომე სისხლითა დამწუარისაგან არის.

„თუ შეიპყრას ამათ ცხრომან, თაბი ჩარუმმან და კაცი ახლად მოწიფული იყოს და შუა ზაფხული იყოს... იცოდით რომე ზაფხრისაგან არის ცხრო.

„და თუ იყოს კაცი მოყრილი და ცივთა ადგილთა მყოფი და შემოდგომანი იყუნენ, მაშინ იცოდეთ რომე, ბაღმისა დამწუარისაგან არის“...*2

„სიბ. მეოთხე ცხროდ რომელ სევდისაგან ანუ სხვად ხილტისაგან იყოს... ნიშანი მისი რად სევდისაგან იყოს. იგი არს, რომელ ორსა დღესა არ იყოს და ერთსა დღესა იყოს, კურნებად მისი რად სევდისაგან იყოს იგი არს, რომელ დია ფარეზი უნდა სნეულსა, ამას მანკსა შიგან, რომელ არ დაუსუსურდეს, და მოჭირვებასა მანკისასა რომელი უნა ღონედ.“**

„ნიშანი ცხროსა, რომელსა ჰრქუიან ტეტრეტეოს.

* ქანანელი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 132(1)]133 (2).

** ხოჯაყოფილი — „წიგნი სააქიმთა“, გვ. 287.

და არს ესე ცხრო რიბი, რომელი შეიპყრობს ერთსა დღესა და ორსა გასწყდების, და მეოთხესა კულა შეიპყრობს... და ცან, ვითარად ესე ცხრო შეიქმნებოდის, წინა-სხუანი შეშლილნი ცხრონი შეიპყრობენ და მათსა შემდგომად ესე შეიქმნების. და ესე რიბი უწინათგან არა დაიწყების და სიცივე, რომელი იყოს ამის ცხროსაგან, დიდად მოსტანჯავს ტანსა. ვირე არა გაჭურდეს ცხრო. და დარჩეს ესე ცხრო ოცდა ოთხსა ჟამსა და, თუ შექმნილიყოს ესე ცხრო კუერცხის გულისა ნავლელისაგან დამწურობისაგან, მაშა ოცდა ოთხისასა უმცრო დაყოფს ტანსა შინა...“*¹.

„და როდეს გაგრძელდეს ცხრო, მერმე გადიდდეს ძარღუთა ფეთქა. და მიზეზი გათავეებისა და გადიდებისა, რაოდენ ცხრო გაგრძელდეს ტანისა მოგინება. და გაჭურდ[ეს] ცხრო და გაუმაგრდა (!) ლუიძლი და გაუდიდდეს, და ფერი ექცეს მოშავედ და იქმნას შავისა ტყუი[ვის]ა მსგავსად... და უფრო ზოლო შეიპყრობს ესე ცხრო შუა კაცთა, ვინ იმყოფებოდის ქუეყანათა გრილთა, და ზროხისა კორცსა დია ჭამდეს, თევზსა და კალნაბსა. ამათგან შეიქმნების ესე ცხრო და გაგრძელდეს. ზამთრის შეიპყრობდეს და ზაფხულის გაუტეობს.“*²

დაბოლოს, „იადიგარ დაუდში“ ამგვარი მითითებაა ოთხდღიური მალარიის შესახებ.

„და თუ ესე ცხელება ძარღუს გარეთ დაუღბა და მით აცხელებს, ამა ცხელებას რუბი დაირა ჰქუიან, ვითამცა და სევდიანი ცხელება და ცივებაო. მისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, პირველ რომე მოუვიდეს ცოტა გაათრთოლოს, და რა ხილთი დამწიფდეს მწოვედ გააციოს, და მწოვედ გაათრთოლოს. ბოლომ კაცსა ასრე გააცივებს რომე კბილებს ერთმანეთზედა სცემდეს და კაცსა ასრე ეგონების, თუ ძვლები დამელეწაო. და ესე რუბი დაირას ცივება ორსა დღესა აცლის და მესამესა დღესა მოუვა**.

* ზ. ფანასკერტელი — „სამკურნალო წიგნი“, გვ. 398 (1), 399 (2).

** დ. ბატონიშვილი — „იადიგარ დაუდი“, გვ. 498.

ს. ს. ორბელიანით ცხრომ „რა ორი დღე გამოუშვას და მესამეს დღეს გააცხროს, ეწოდების ეტრატეოს“*.

ზემომოყვანილი ციტატებიდან დავინახეთ, რომ ოთხდღიური მალარიის კლინიკური სურათი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: შეტევები მეორდება ორდღეგამოშვებით, ყოველ მეოთხე დღეს („ესე ცხრო ერთსა დღესა მოუვა და ორსა დღესა გაუშვებს“*** ან „ორსა დღესა არ იყოს და ერთსა დღესა იყოს“**** ან „შეიპყრობს ერთსა დღესა და ორსა გასწყდების, და მეოთხესა კულა შეიპყრობს,**** ანდა „ესე რუბი დაირას ცივება ორსა დღესა აცლის და მესამესა დღესა მოუვა.*****). შეტევები მუდამ ერთსადაიმავე საათებში მეორდება; ხოლო ამ წესის დარღვევა უკვე ნიშანია დაავადების მწვავე პერიოდის ჩაცხრომის („ესე ცხრო მუდამ ერთსა ჟამსა მოუვა, და თუ იქციოს ისი ჟამი და სხუისა ჟამსა მოუვა გაშუების ნიშანია“*****2).

როგორც ჩანს, ნიშანდობლივი იყო ოთხდღიური მალარიის პირველადი შეტევებისას ტემპერატურის უსწორო ტიპი, რის გამო დიაგნოზის დასმა გაძნელებული იყო და მხოლოდ შეტევათა ტიპიურად ჩამოყალიბებისას იყო შესაძლებელი მალარიის ამ ფორმის გამოცნობა („და იცოდო რა ესე ცხრო იქნებოდეს, უწინა სცან შეშლილნი (ცხრონი მოუვლენ“***2 ...„და ცან, ვითარად ესე ცხრო შეიქმნებოდის, წინა—სხუანი შეშლილნი ცხრონი შეიპყრობენ და მათსა შემდგომად ესე შეიქმნების. და ესე რიბი უწინათგან არ დაიწყების.“*****).

ე. ტარეევი (1946) აღნიშნავს, რომ „კვარტანის დროსაც არაიშვიათად აღინიშნება ყოველდღიური ტიპის ციებ-ცხელება.“*****

* ს. ს. ორბელიანი—„სიტყვის კონა“, 1949, გვ. 436.

** ქ ა ნ ა ნ ე ლ ი—„უსწორო კარაბადინი“, გვ. 131 (1), 132 (2).

*** ხ ო ჯ ა ყ ო ფ ი ლ ი—„წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 287.

**** ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი—„სამკურნალო წიგნი“, გვ. 398.

***** დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი—„იადიგარ დაუდი“, გვ. 498.

***** E. M. Тареев—Клиника малярии, 1946, გვ. 11.

ძველი კარაბადინებიდან ჩვენ მიერ მოყვანილ ტექსტებში, რასაკვირველია, შეიძლება ეჭვი მივიტანოთ, რომ „შეშლილნი ცხრონი“ იყო მალარიის შერეული ფორმები (დაწვრილებით იხ. ქვემოთ). თანახმად არსებული პარაზიტოლოგიურად დადგენილი მასალის ანალიზისა (ს. აბულაძე, 1927; გ. მარუაშვილი და ი. თოფურიძე, 1954; გ. გორდაძე, 1956), დადასტურებული შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩვენში (საქართველოში) მალარიით ავადობის ძირითადი სიმძიმე სამდღიური და ტროპიკული მალარიის ხარჯზე მოდიოდა. ამიტომ ოთხდღიურ მალარიასთან შერეული ინფექციის დროს პირველი შეტევებისას ტემპერატურას ჰქონდა არაწესიერი მრუდის შეხედულება, ცხელებას უსწორო გამოხატულება ჰქონდა. ამავე დროს ცნობილია, რომ სამდღიური მალარიის მიმართ უფრო ადრე ვითარდება იმუნიტეტი (პ. სერგიევი და ა. იაკუშევა, 1956), რის გამო მისი გამომწვევი ქრება და თავს იჩენს ოთხდღიური მალარია.

ოთხდღიური მალარიის დროს მძაფრი ხასიათი ჰქონდა შეცეიბას, რაც ძალიან სტანჯავდა ავადმყოფს, სანამ არ აუწევდა ტემპერატურა („ესე ცხრო მწოვედ დასტანჯავს ტანსა, სადამდის არა გახურდეს ცხრო“* ან „და სიცივე, რომელი იყოს ამის ცხროსაგან, დიდად მოსტანჯავს ტანსა, ვირე არა გაჭურდეს ცხრო“**1).

დაავადების ხანგრძლივი მიმდინარეობა იწვევდა ღვიძლის გადიდებას (ჰეპატომეგალიას): „და როგორაცა გაგრძელდეს ცხრო, გასხუდეს ძარღუისა ცემა, მისი ნიშანია, რომე გაგრძელდეს ცხრო, და ტანისა შეშლა და გახურდეს ცხრო და გაუმაგრდეს ღუიძლი და გაუდიდდეს და ფერი გაუშავდეს ვითა ტყუივა და განავალი გაუშავდეს და ოფლი არა დია სდიოდეს.“*

„რაოდენ ცხრო გაგრძელდეს—ტანისა მოგინება და გაჭურდ[ეს] ცხრო და გაუმაგრდა(!) ღუიძლი და გაუდიდდეს.“**2

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი—„უსწორო კარაბადინი“, გვ. 132.

** ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი—„სამკურნალო წიგნი“, გვ. 398 (1), 399 (2).

შესაძლებელია აქ საქმე მალარიულ ჰეპატომეგალიას ეხება, ორგანიზმის საერთო დასუსტებით, კანის ფერის შეცვლით და დროდადრო სისხლდენით:

„და ფერი გაუშავდეს ვითა ტყუივა და განავალი გაუშავდეს“.*¹

ან „ფერი ექცეს მოშავედ და იქმნას შავისა და ტყუი[ვს]ა მსგავსად. და შეიქნას განავალი მისი შავად, ოფლი არა დიად გამოადგეს.“**

გაოცებას იწვევს ძველ მწიგნობარ ექიმთა დაკვირვების სიზუსტე დაავადების (ოთხდღიური მალარიის) ხანგრძლიობისა და ეპიდემიოლოგიის საკითხებზე. ძნელია მიხედვრა, რა მონაცემებით სარგებლობდნენ, როდესაც აღგენდნენ დაავადების საერთო ხანგრძლიობას ძლიერი ავადობის დროს რეინფექციითა დიდი შესაძლებლობის პირობებში.

ჩვენ მიერ დასახელებულ საექიმო წიგნებში ოთხდღიური მალარიის საერთო ხანგრძლიობა ორ წელიწადს უდრის („ესე ცხრო ეგების ორსა წელიწადსაცა არ გაეყაროს“*¹ ან „ერთობ ძნელი ცხრო არის, ორწლამდის მიყვების“*²) თუმცა შესაძლებელი ყოფილა თურმე ერთ ან ნახევარ წელშიც ავადმყოფის განკურნება („იქნების ერთსა წელიწადსა გაგრძელდენ. და თუ ერთობ კარგად უწამლონ ნახევარ წლამდის მიჰყუების“*¹).

ფრიად ღირსშესანიშნავია ის ფაქტი, რომ ძველ ექიმებს შენიშნული ჰქონიათ, თუ როდის ხდებოდა ოთხდღიური მალარიის გამოვლინება, როგორც ახალი დაავადების, ისე რეციდივების დროს.

ქანანელის „უსწორო კარაბადინის“ მიხედვით ოთხდღიური მალარია („ცხრო რიბი“—ს. ა. და ტ. ბ.) ვლინდება ზამთარში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ ლაპარაკია ამ დაავადების რეციდივზე. რადგან თუ პირველადი შეტევების გამოცნობა ზაფხულ-შემოდგომაზე ძნელდება „შეშლილი ცხროთა“ მიზეზით (რაზედაც ზევით გვქონდა საუბარი), ამ შემთხვევაში

* ქანანელი—„უსწორო კარაბადინი“, გვ. 131 (1), 132 (2).

** ზ. ფანასკერტელი—„სამკურნალო წიგნი“, გვ. 399.

შეტევებს ჩამოყალიბებული ოთხდღიური ხასიათი აქვს. მაგრამ იმავე დაავადების რეციდივები აღინიშნება როგორც გაზაფხულზე, ზაფხულზე, ისე შემოდგომაზეც. რასაკვირველია, შემოდგომაზე რეციდივებთან ერთად ხშირ შემთხვევაში ახალ დაავადებასთანაც პქონდათ საქმე, რადგან შენიშნული იყო, რომ ზაფხულის შეტევების შემდეგ ავადმყოფი იკურნებოდა მალარიის ამ ფორმისაგან („ესე ცხრო ზამთრის შეექნების და ზაფხულის გაუშუებს“*1 ან „ზამთრის შეიპყრობდეს და ზაფხულის გაუტეობს“**).

რაც შეეხება ავადმყოფის ასაკს, „ოთხდღიური მალარია“ ყველა ასაკში აღინიშნებოდა: „კაცსა ჩვიდმეტისაგან უმცრო“ ან „კაცი ახლად მოწიფული იყოს“, ან „თუ იყოს კაცი მოყრილი“*2, ან „შეიპყრობს ესე ცხრო შუა კაცთა.“**

ამგვარად, ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ განხილულ საექიმო წიგნებში შესანიშნავადაა მოცემული ოთხდღიური მალარიის კლინიკისა და ეპიდემიოლოგიის შესახებ ძირითადი ცნობები, რაც სავსებით შეესაბამება ამ საკითხებზე თანამედროვე შეხედულებას.

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 132 (1), 133 (2).

** ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი — „სამკურნალო წიგნი“, გვ. 399.

ტროპიკული მალარია — (Malaria tropica)

ტროპიკული მალარია ხასიათდება რთული კლინიკური სურათით და თუ არა პარაზიტოლოგიურად, სხვაგვარად ძნელია (ან თითქმის შეუძლებელი) მისი გამოცნობა. ამიტომ რასაკვირველია, უსამართლობა იქნებოდა ჩვენი წინაპრებისგან მოგვეთხოვა მისი კლინიკის ცოდნა და დაავადების გამოცნობაც. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ განხილულ ზოგიერთ კარაბადინში მოიპოვება ისეთი ცნობები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ, როდესაც ძველი ექიმები „ცხროს“ გარკვეულ სახეობას აღწერდნენ, უთუოდ ტროპიკულ მალარიასთან ჰქონდათ საქმე.

როგორც აღვნიშნეთ, იმდროინდელ ძლიერ დაძაბულ ეპიდფაქტორთა ზეგავლენით უთუოდ ხშირი იყო შერეული ინფექციები, რეინფექციები და სუპერინფექციები, რაც თავისთავად უფრო აძნელებდა დაავადების გამოცნობას.

ვ. ფავრი (1903) აღნიშნავს, რომ ძველად ტროპიკულ მალარიას ძალიან მრავალფეროვანი დასახელება ჰქონდა (*hemitriteus*, *triteophia*, *amphimerina*, *febris semitertiana*, *f. syncopalis*, *f. comatosa*, *lethargica*, *subcontinua*, *synochus sudatoria*). „სიმპტომატოლოგიური ხასიათის დასახელებათა ასეთი სიმრავლე ლაპარაკობს იმაზე, — აღნიშნავს ავტორი, — რომ იმდროისათვის იგი არ იყო გამოკრისტალებული ციებ-ცხელებათა და ცხელებათა ქაოსიდან, არ იყო საკმაოდ გამოყოფილი მაშინდელი პათოლოგიის მიერ“*.

* В. В. Фавр — Опыт изучения малярии в России в санитарном отношении. Харьков, 1903, зв. 12.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ მალარიის ამ კლინიკური ფორმის გამოცნობა შეეძლოთ ძველ ქართველ ექიმებს, რაზედაც სათანადო მითითებებია სამკურნალო კარაბადინებში.

„ბაღმის ცხრო რომელსა ჰქვიან ანა ფელეს. მისი ნიშანი ეს იყო რომე რა პირველად გაცხროვოს, ერთობ ცხლად არა იყოს და ხელფეხი სტკიოდეს და ტანზედა მუდამ ცივად იყოს და მძიმედ და სიცივე და ხურვება და ცხრო სწორად იყოს და არა სწყურდებოდეს და ქშინავდეს. მაჯაში სავსედ და გვიან გვიანად სცემდეს და სუსტად და თეთრსა არწყევინებდეს*1.

„სხვა ნიშანი ბაღმისა ცხროსა, ამა ცხროსა შიგა სიცივე და სიციხე სწორად იყოს...

„და ვის ესე ცხრო წაეკიდოს, შიგნით ერთობ ცხლად იყოს და გარედ ცივად, და ფსელი მისი ცოტად ცხელი იყოს და ძარღუთა ფეთქა ფრიად იყოს და ფართოდ, და სუსტი, და გუიან გუიან. და მოუვა ესე ცხრო ხან ორსა დღესა შეიპყრობს წინა უკანა, და ზოგჯერ ოთხსა დღეს წინა უკანა, ხან უფრო და ხან უმცრო.

„და ზოგჯერ დაყოფს ტანშიგა ოცდაოთხსა ჟამსა და ზოგჯერ ფიცხლა უკუეყრების და გაექცევის ძალსა.“*2

უთუოდ ტროპიკულ მალარიაზეა ლაპარაკი ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოჲს“ შემდეგ ადგილას:

„ვითარებაჲ მოტბაყისა ცხროჲსაჲ რაჲ სიგრილისაგან იყოს. მასარჯოჲა იტყვის: გლუსუნისა ბაღმისა სიმრავლისაგან იქნენის, რომელ ასოთა შიგან დაშაგებულ იყოს და მისგან აცხროოს.

ნიშანი მისი რაჲ სიგრილით იყოს. იგი არს, რომელ რაჲ დღე მოვიდოდეს და თრთოლაჲ ძნელად იყოს და ტანი გვიანად გახურდებოდეს, და სიმხურვალე არ ღია იყოს და ესე ცხროჲ ძნელი და ჰავი და სამიშოჲ იქნების. გვაშოროს ღმერთმან***.

* ქანანელი—„ესწორო კარაბადინი“, გვ. 137 (1), 138 (2).

** ხოჯაყოფილი—„წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 285.

„სია. ნიადაგ ცხროჲ რომელ მოჰრიყაჲ
ჰქვიან და შატრალღიბი.

...ნიშანი ნიადაგ ცხროჲსა. იგი არს რომელ
ასონი ხურვიდნენ და დია ოფლი გამოეცემოდეს და ენაჲ
გაშავდეს, და ცხროჲ ფიცხელი იყოს. და ეგების რომელ
სნეული ბედითსა უბნობდეს“*.

რასაკვირველია, მეორე ციტატის მიხედვით მარტო ამ ნი-
შნით ძნელი გამოსარიცხავია სხვა მწვავე ინფექციური . და-
ავადება.

შემდეგ „ვთქუათ ცხროსათუის, რომელსა ჰრქვიან იფი-
მირიანოს, რომელი მოუვა ყოველთა ღღეთა სიცივით. ესე
ცხრო არის, რომელი შეიქმნების თელგმისაგან, რომელი სიმ-
კურვალესა დაელბოს... და იცნობების ესე ცხრო ამათ გუარ-
თა შინა, რომელსა ვიტყუი. უწინათგანვე სიცივით მოუტდეს,
მცირედითა სიცივითა, თელგმისა გზითა, რომელ დამპალიყოს,
და მერმე შეემატების სიცივე და გაუძნელდების, და არა გა-
კურდეს მალე... ძარღუსა ფეთქა მისი მცირედ იყოს უსუსური
და გუიანი და არა სწორი... ამის ცხროსა იყოს უკანას უძნე-
ლე, და ცხრო ესე არს ძნელი და შემახაშმებელი და გრძელი,
და ახლად საშიში არს სიკუდილისაგან. და შიში, რომელი იყოს
მისგან, რ[ა]ოდენ ყოველსა ღღესა მოუვა და სტანჯავს გუამს
და უფრო ხოლო შეიპყრობს ესე ცხრო მწუხრსა. და პირი
უსივდებოდის ამის ცხროსაგან... და შეიპყრობდეს ესე ცხრო
თორმეტსა ჟამსა, და გასწყდების ექუს ჟამსა, რაოდენ ღღე და
დამე ოცდაოთხი ჟამი არს. და უშუებს არა კარგად, და არა
დიდად ეწყურვების ამის ცხროსა უფალსა... და უფრო ხოლო
წაეკიდების ესე ცხრო ჩუილთა და ბერთა... და შეუქს ესე
ცხრო სტომაქისა ტკივილსა და ფერსა მიკდის და მოთეთრედ
შეიქს.“**

„გაკსენოთ ნიშანი ცხროსა, რომელსა
ჰრქვიან ანაფელოს.—და არს ესე ცხრო, რომელსა

* ხოჯაყოფილი—„წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 286.

** ზ. ფანასკერტელი—„სამკურნალო წიგნი“, გვ. 394.

არს შინა სიმჭურვალეცა და სიცივეცა და იყოს ეს თელგმისა თხელისაგან, რომელი დამწუარ იყოს გარყუნილ და კმობენ კაცნი მსგავს ჭიქისა. და ვის ესე შეედვას, შიგნით დიდად ჭურვიდეს, გარეგნით ზრებოდის.. და ზოგჯერ შეიპყრობს ესე ცხრო ყოვლსა ორსა დღესა, და ზოგჯერ ყოვლსა ოთხსა დღესა, უფრო და უმცრო; და ზოგჯერ დაყოფს ტანსა შინა ოთხსა ჟამსა, და ზოგჯერ ცხრასა ჟამსა, და ზოგჯერ დაყოფს ოცდა ოთხსა ჟამსა და ერთსა ზედა არა დაიდგამს, და ზოგჯერ მალე გაუტეობს, გაექცევის ძალსა.“*1

„თუ ძარლუს გარეთ რომე ბალღამი არის და ისი ბალღამი ან ძარლუს გარეთ, და ან შიგ ძარლუშიგა დაღბეს და ესე ცხელება ამა ბალღმისა მიზეზისაგან იყოს, ეს ცხელებასა ჰიომაი ბალღამი ჰქუიან, და ესე ცივება და ცხელება ყოველთა დღეთა მოუვა, და გააცხელებს, ვითამცა და ბალღმის ცივებაო.“**

ს. ს. ორბელიანის მიხედვით „ყოველდღე ცხროებას ეწოდების ენამეროს და აფიკაროს.“***

ცნობილია, რომ ტროპიკულ მაღარიას ახასიათებს ტემპერატურის მრუდის ცვალებადი ხასიათი, რაც გამოიხატება ყოველდღიური ინტერმისიული, რემისიული, სუბკონტინუას და კონტინუას ტიპში ან მათ კომბინაციებში. ჩვენ მიერ მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, რომ ყოველდღიური „ცხრო“ ან „ნიადაგ ცხრო“ ხასიათდება ტემპერატურის უსწორო ტიპით („ესე ცხრო ხან ორსა დღესა შეიპყრობს შინა უკანა, და ზოგჯერ ოთხსა დღესა შინა უკანა, ხან უფრო და ხან უმცრო. და ზოგჯერ დაყოფს ტანშიგა ოცდაოთხსა ჟამსა და ზოგჯერ ფიცხლა უკუეყრების და გაექცევის ძალსა“****). ზოგჯერ შეტევები წესიერად მონაცვლეობენ („მოუვა ყოველთა დღეთა“, *2 „ესე ცივება და ცხელება ყოველთა დღეთა მოუვა“**). შე-

* ზ. ფანასკერტელი—„სამკურნალო წიგნი“, გვ. 402 (1), 394 (2).

** დ. ბატონიშვილი—„იადიგარ დაუდი“, გვ. 499.

*** ს. ს. ორბელიანი—„სიტყვის კონა“, 1949, გვ. 435.

**** ქანანელი—„უსწორო კარაბადინი“, გვ. 138.

ტევათა ცალკეული სტადიებიდან ზოგჯერ სჭარბობს შეცეების სტადია („რაც დღე მოვიდოდეს და თრთოლავ ძნელად იყოს და ტანი გვიანად გახურდებოდეს, და სიმხურვალე არ ღია იყოს.“* ...„უწინათგანვე სიცივით მოუტდეს, მცირე დიდი-თა სიცივითა... მერმე, შეემატების სიცივე და გაუძნელდების, და არა გაჭურდეს მალე**), თუმცა შესაძლებელია ეს სტადიები თანაბრად იყოს გამოვლინებულიც („სიცივე და ხურვება და ცხრო სწორად იყოს“***1). ავადმყოფთა მეხსიერებაში, როგორც ჩანს, განსაკუთრებით შეცეების სტადია აღიბეჭდებოდა, როდესაც მათ „ხელფეხი სტკიოდეს და ტანზედა მუდმად ცივად იყოს.“***2 ამ შეტევებს თან სდევდა აგრეთვე *herpes labialis* („პირი უსივდებოდეს ამის ცხროსაგან“) და ტკივილი მუცლის არეში, რაც უთუოდ დაკავშირებული იყო ჰეპატოლიენალურ სინდრომთან) ელენთის ინფარქტებთან („და შეუქს ესე ცხრო სტომაქისა ტკივილსა“**). კანი იღებდა მკრთალ ფერს („ფერსა მიკდის და მოთეთროდ შეიქს“**), რაც უთუოდ, დაკავშირებული იყო ანემიასთან.

ეს „ცხრო“ განსხვავდებოდა თავისი მიმდინარეობის სიმძიმით და, რაც მთავარია, ახალი დაავადების დროს საშიში იყო, რადგან შეიძლება დამთავრებულიყო სიკვდილით („ამის ცხროსა იყოს უკანას უძნელე, და ცხრო ესე არს ძნელი და შემახაშმებელი და გრძელი, და ახლად საშიში არს სიკუდილისაგან“**). „ესე ცხრო ძნელი და ჰავი და საშიში იქნების, გვაშოროს ღმერთმან“*).

როგორც ცნობილია, მალარიული კომა ლეტალური გამოსავალით გვხვდება ტროპიკული მალარიის ახალი დაავადების დროს, რაც ასე სწორადაა შენიშნული ხოჯაყოფილის (XIII ს.) და ზ. ფანასკერტელის (XV ს.) მიერ.

მალარიული პაროქსიზმები აღინიშნება დილის ან დღის საათებში („და შეიპყრობდეს ესე ცხრო თორმეტსა ჟამსა და გასწყდების ექუს ჟამსა“**).

* ხოჯაყოფილი — „წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 285.

** ზ. ფანასკერტელი — „სამკურნალო წიგნი“, გვ. 394.

*** ქანანელი — „უსწორო კარაბადინი, გვ. 137 (1), 138 (2).

განცვიფრებას იწვევს ეპიდემიოლოგიური ხასიათის დაკვირვება ტროპიკულ მაღარიაზე. უკვე იმდროინდელი ექიმების მიერ შენიშნული იყო, რომ „უფრო ...წაეკიდების ესეცხრო ჩუილთა და ბერთა.“ ეს დებულება ამჟამად დადასტურებულად ითვლება პარაზიტოლოგიურადაც. ცნობილია, რომ ტროპიკული მაღარიით ავადობის უდიდესი ნაწილი ბავშვთა ასაკზე მოდის. შემდეგ ორგანიზმის ზრდასთან ერთად იზრდება სხეულის გამძლეობა ინფექციისადმი, ვითარდება გარკვეული იმუნიტეტი ტროპიკული მაღარიის მიმართ (შვეცი, 1936*), ხოლო მოხუცებულობაში ორგანიზმის საერთო დასუსტებისა და იმუნობიოლოგიურ ფაქტორთა შესუსტების გამო აღამიანი კვლავ ხდება დაავადების მიმღები.

* ციტირებულია პ. სერგევევითა და ა. იაკუშევითი, 1956.

მალარიის შერეული ფორმები—(Malaria mixta)

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ძველ საექიმო კარაბადინებში არის მითითება მალარიის შერეული ფორმების შესახებაც, რაც წოდებულია როგორც „შეშლილი ცხრონი“.

„სხუა ცხრო ბალღმისა და შავისა ნავღლისა შერევისაგან იქნების, ესეცა შეშლილი ცხრო არის, ერთხელ გამოჩნდების სევდისა ცხროსა ნიშნითა და ერთხელ გამოჩნდების ბალღმისა ცხროსა ნიშნითა. და არს ესე ცხრო გრძელი, შემოდგომათა შეიპყრობს და გაზაფხულს გაუშვებს, ხან გამოჩნდების შავისა ნავღლისა ნიშნითა და ერთხელ ზაფრისა ცხროსა ნიშნითა, და ერთხელ ბალღმისა ცხროსა ნიშნითა.“*

„ვაჰსენოთ ცხრო, რომელსა ჰრქუიან იმტიტრიტოსი. და ესე ცხრო შერეულ არს შავისა ნავღელ[ი]სა და ბალღმისა. ნიშანი ამის ცხროსა. ესე შეიპყრობს ეგრევე შეშლილად, ერთჯერ გამოჩნდების ნიშნითა ცხროსა რიბისათა და ერთხელ ბალღმისათა. და არს ესე ცხრო გრძელად მომავალი, სთუელთა შეიპყრობს და გაზაფხულსა გაუტეობს“...**

„და თუ ან ორი ან სამი ხილთი ერთგან შეიყაროს და ისრე აცხელებდეს და აცივებდეს, ჰიომაი მურაქაფა ჰქუიან, ვითარცა და არეული ცხელებათ. და თუ საფრა და ბალღამი ერთმანეთშიც აერივე და ორივე ერთად წაუხდა და მით აცხელებს, ამა ცხელებასა ყიბი ყეირი ხალისი ჰქუიან“...***

* ქანანელი—„უსწორო კარაბადინი“, გვ. 139.

** ზ. ფანასკერტელი—„სამკურნალო წიგნი“, გვ. 403.

*** დ. ბატონიშვილი—„იადიგარ დაუდი“, გვ. 501.

ამ ამონაწერებიდან ჩანს, რომ *Malaria mixta* შენიშნული ყოფილა ძველი მწიგნობარი ექიმების მიერ, როგორც მალარიის ორი, ისე სამივე ფორმის შერევით. მალარიის შერეული ფორმა, ზემოხსენებული კარაბადინების მიხედვით, გვხვდებოდა სამდღიური და ტროპიკული ან აგრეთვე ოთხდღიური მალარიის შერევით „ხან გამოჩნდების შავისა ნავლისა ნიშნითა (ოთხდღიური მალარია—ს. ა. და ტ. ბ.) და ერთხელ ზაფრისა ნიშნითა (სამდღიური მალარია—ს. ა. და ტ. ბ.) და ერთხელ ბაღმისა ცხროსა ნიშნითა“* (ტროპიკული მალარია—ს. ა. და ტ. ბ.); ან „ერთჯერ გამოჩნდების ნიშნითა ცხროსა რიბისათა (ოთხდღიური მალარია—ს. ა. და ტ. ბ.) და ერთხელ ბაღმისათა (ტროპიკული მალარია — ს. ა. და ტ. ბ.).

შერეული ინფექციისათვის დამახასიათებელი იყო ხანგრძლივი მიმდინარეობა ხშირი რეციდივებით. დაავადება თავს იჩენდა შემოდგომობით („შემოდგომათა შეიპყრობს“ ან „სთუელთა შეიპყრობს“) და გრძელდებოდა გაზაფხულამდე („და არს ესე ცხრო გრძელი, შემოდგომათა შეიპყრობს და გაზაფხულს გაუშვებს“* ანდა „და არს ესე ცხრო გრძელად მომავალი სთუელთა შეიპყრობს და გაზაფხულსა გაუტეობს.“**).

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 139.

** ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი — „სამკურნალო წიგნი“, გვ. 403.

მკურნალობის საკითხები

ჩვენ მიერ განხილულ კარაბადინებში ძალიან ვრცელადაა მოყვანილი „ცხროიანთა“ მკურნალობა. ჩვენი აზრით, იგი ცალკე შესწავლასა და დამუშავებას მოითხოვს. ამიტომ წინამდებარე შრომაში ჩვენ მოკლედ მოვიყვანთ მხოლოდ ზოგად და ძირითად დებულებებს მაღარიით დაავადებულთა მკურნალობის შესახებ. „ცხროიანთა“ მკურნალობა ძირითადად დაკავშირებული იყო მაღარიის პათოლოგიის შესახებ მაშინდელ შეხედულებაზე. მაღარიის სხვადასხვა ფორმების მკურნალობისათვის მოწოდებული იყო შემდეგი პრინციპები: 1. ავადმყოფისათვის („ცხროიანის“) საკვების შერჩევა, დიეტური რეჟიმი; 2. სამკურნალო ნივთიერებათა დანიშვნა და მათი ამა თუ იმ ფორმით გამოყენება; 3. მკურნალობა დაავადებათა ფორმისა და სტადიების მიხედვით; 4. ცალკე გართულებათა მკურნალობა.

მაღარიით დაავადებულთა მკურნალობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დაავადების სტადიის მიხედვით მკურნალობის დაწყებასა და დიეტური რეჟიმის დაცვას.

„რომელსა დღესა მოვიდოდეს ცხრო (ლაპარაკია სამდღიურ მაღარიაზე—ს. ა. და ტ. ბ.) მას დღესა ნუ მისცემთ გასახსნელსა წამალსა. და რა შეუღბოთ მუცელი რომელსა დღესა მოვიდოდეს ცხრო, მას დღესა ვასვემდეთ ქერის წყალსა და ბროწეულისა წყალსა და ქლიავის წყალსა. და როდეს ცხრომან გაუშვას მაშინ შევასვათ წამალი გასახსნელი ანუ ღამით ანუ დღისით.

...„და ცხროსა მოსულისა ჟამსა კაცი მშიერად უნდა იყოს და რა ცხრომან გაუშვას, მაშინ ვაჭამოთ ვარია ტყემლით შექნილი.“

...„ცხროსა მოსულსა უწინ ვასვათ ქერის წყალი, აყიროს წყალი და ზენაარ რომელსა დღესა ცხრო მოუვიდოდეს მას დღესა ნურას აჭმევთ, და სტომაქი ცარიელი დავახვედროთ საჭამადისაგან.“*1

„და რა გაუშვას მან ცხრომან (ლაპარაკია სამდღიურ მაღარიანზე—ს. ა. და ტ. ბ.) ვაჭამოთ ვარია და დურაჯი ისრიმითა შექნილი.“*2

„და რომელსა დღესა ცხრო (ლაპარაკია ოთხდღიურ მაღარიანზე—ს. ა. და ტ. ბ.) მოუვიდოდეს მას დღესა ნურარას ჭამს ვირე არ უკუ უშუას ცხრომან, და როგორცა გამოვიდეს ოცი დღე ესე მათ ბუხი ვასუათ...“*3.

„კურნებაჲ მისი („ღიბისა ცხროჲ“—ს. ა. და ტ. ბ.) იგი არს, რომელ მანკისა დასაწყისსა გრილთა და ნედლთა ჭამდეს, და მაშინ მუცელი ღილბოს ხილთა წყლითა“**1
...რიგისა დღესა არაჲ ჭამოს“**2 (ლაპარაკია ოთხდღიურ მაღარიანზე—ს. ა. და ტ. ბ.).

„და ჯერ არს, რათა შეუღბოთ მუცელი ქლიავისა წყლითა... რომელსა დღესა შეიპყრობდეს ცხრო, (ლაპარაკია სამდღიურ მაღარიანზე—ს. ა. და ტ. ბ.) მას დღესა არა ვასუათ წყალი, რომელსა დღესა შეიპყრას გასაცხნელი და არცა შეუღბოთ მუცელი, განა ვასუათ ქერის წყალი და მროწეულისა, მროწეულისა წყალი და ქლიავისა წყალი. როდეს ცხრომან გაუტეოს, მაშინ შევასუათ ან ღამით... და ვაჭამოთ ცხროსა გატეგებასა უკანეთ თათმი და აყირო, რაოდენ ამათითა შეღბების მუცელი და დააყუდებს სიმხურვალესა. და თუ შეიპყრას ცხრომან, ვასუათ ქერისა წყალი ღამით უწინა ცხროსა შეპყრობისასა და იყოს სტომაქი ცარიელი საჭამადისაგან... და არა ვსცეთ საჭამა-

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 125 (1), 130 (2), 135 (3).

** ხ ე ჯ ა ყ თ ფ ი ლ ი — „წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 284 (1), 287 (2).

დი ცხროსა შეპყრობისა უწინა, რათა, როდეს მოუტდეს, პოვოს სტომაქი ცარიელი...“*

„იადიგარ დაუდის“ მიხედვით, სიცხის დროს ავადმყოფისათვის უნდა მიეცათ გამაგრილებელი წამლები და ტლეები შემოედოთ მისთვის. „ასეთი წამლები ასვან, და ასეთი ტლეები შემოსდვან, რომე სიცხე და სიმტურვალე გაუგდონ.“**1

„და კაცი რომე პირველ გააცხელოს ასრე უნდა ორსა, სამსა დღესა საჭმელი აუკრიფონ რომე, წყალ პურის მეტი არა აჭამოს რა, და მესამესა დღესა შაქრითა ჯავ ავი აჭამონ რომე, საფრა გააქარვოს, და სიცხე და სიმტურვალე დაავსოს და როდისცა ნობათის დრო იყოს, და ან ცხელებას მოელოდეს, ასრე უნდა, იმა დღესა კაცი მარხული იყოს, და არა ჭამოს რა. თუ ცხელების ბორჯალი საღამოს დროს იყოს, მაშინაც წყალ პური ადრიანად აჭამონ.“**2

„ბოლო ყოვლისა ცივებისა და ცხელების წესი და რიგი ეს არის რომე, კაცმან საჭმელი ექუსის საათითა ბორჯლისაგან (შეტევიდან—ს. ა. და ტ. ბ.) უწინ ჭამოს, რომე საღამდი კაცსა გააცხელებდეს, და ან ბორჯალი მოუვიდოდეს, მანამდისი ავადმყოფმან საჭმელი მოიდნოს რომე გააცხელებაშიგა მუცელშიგა საჭმელი არ ადუღდეს და არ არწყევინოს და გულსა სტომაქზედა არ აშალოს.“**3

როგორც დავინახეთ, ყველა კარაბადინის მიხედვით „ცხროსა მოსულისა ჟამსა კაცი“ მშიერი უნდა იყოს და „სტომაქი ცარიელით“ უნდა შეხვდეს ცხელებას, რათა ავადმყოფს „არ არწყევინოს და... სტომაქზედა არ აშალოს.“

მაგრამ არც ის ვარგა, რომ ავადმყოფი ძალიან მშიერი იყოს, ვინაიდან შეტევები ერთსა და იმავე საათებში მეორდება, რაც კარგად ჰქონდათ შენიშნული როგორც ავადმყოფს, ისე მკურნალს, ამიტომ „კაცმან საჭმელი ექუსის საათითა ბორჯლისაგან უწინ ჭამოს.“ ეს დრო საკმარისი იყო, რათა „მანამდისი ავადმყოფმა საჭმელი მოიდნოს.“

* ხ. ფანასკერტელი — „სამკურნალო წიგნი“, გვ. 398.

** დ. ბატონიშვილი — „იადიგარ დაუდი“, გვ. 493 (1), 495 (2), 495—496 (3).

„და რაირიგადაც ავადმყოფისათვის ის არა ვარგა, რომე კაცი ცხელებას მწოვედ მაძლარი დახუდეს, ისრევე ის არ ვარგა, რომე ცხელებასა მწოვედ მშიარი დახუდეს.“*1

ძველი ექიმები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ცხელებაგადატანილთა გაძლიერებულ კვებას.

„ყიბი ხალისის ცხელებაზედა, შვიდსა დღესა უკანა, სამამლის ვარიის ხარშო უნდა აჭამონ“...*2 ამავე დროს „ვარია ტყემლით შექნილი“***1 უნდა ყოფილიყო. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კარაბადინებში მოწოდებულია განსაკუთრებით მჟავე, მწარე საჭმელები და მწარე წამლები: ტყემლის, ბროწეულის, ისრიმის და სხვ. წვენები („და რა გაუშვას ცხრომან ვაჭამოთ ვარია და დურაჯი ისრიმიტა შექნილი, მჟავისა ბროწეულის წყლითა და ნიახურის წყლითა“***2 „ცისკარსა ტყემლისა წყალი სუას“*** „და იცოდით ...რაცა წამალი მწარე არის, ისი გახსნის ნასკუთა და სენსა ტყირბისასა.“****

„ცხროიანთა“ მკურნალობისათვის მოწოდებული იყო აგრეთვე ბალნეოთერაპია.

„და რაჲ ცხრო („ღიბისა“—ს. ა. და ტ. ბ.) დაელიოს და საჭამადი მოიდნოს აბანოს მივიდეს და ნელსა წყალსა შიგან ჩაჯდეს, ერგების.“***

ან კიდევ „მეორეს დღესა ნელთბილსა აბანოშიგა შევიდოდენ რომე, ამა აბანოს წყალი. ტკბილი იყოს და ამა აბანოშიგა ცოტა ხანი დაყოს და ფიცხლად გამოვიდეს,“*3

სამკურნალო კარაბადინებში ვრცელადაა მოცემული „ცხროსა შინა“ მყოფთა სიმპტომატური მკურნალობა, როგორიცაა: „რწყევისა წამალი უყოს, რომე რწყევა დააწყნაროს“,*** „რომელი წამალი უკურნებს ოფლსა რომელი სდიო-

* დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი—„იადიგარ დაუდი“, გვ. 496 (1), 497 (2), 495 (3).

** ქ ა ნ ა ნ ე ლ ი—„უსწორო კარაბადინი“, გვ. 125 (1), 130 (2), 127 (3).

*** ხ ო ჯ ა ყ ო ფ ი ლ ი—„წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 284.

**** ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი—„სამკურნალო წიგნი“, გვ. 242.

დეს ამა ცხროსა შინა“*1 „...სხვა წამალი რომელი ერგების ამას ცხროსა შინა რომელსა ფერი გაუყვითლდეს“*2 და სხვ.

თუ კი ცხელებაში მყოფ ავადმყოფს უძილობა შეეყრებოდა, მოწოდებული იყო ძილმომგვრელი საშუალებანი.

„ასეთი თათბირი და წამლები უყონ რომე, კაცსა ძილი მოუვიდეს, თუარამდა ავადმყოფსა უძილობა მწოვედ აწყენს.“**

„ცხროთანთა“ მკურნალობისათვის ფართოდ გამოიყენებოდა სისხლის გამოშვება, სარწყევი და საფალარათო საშუალებების დანიშვნა. მაგრამ ყოველად დაუშვებელი იყო სიცხეში მყოფი ავადმყოფისთვის სისხლის გამოშვება ან სხვა გამხსნელი საშუალებების დანიშვნა.

„და რომელსა დღესა მოვიდოდეს ცხრო მას დღესა ნუ მისცემთ გასახსნელსა წამალსა“*3.

„ამ ცხელებაზედა არასათვის კაცს სისხლი არ უნდა გამოუშვან, თუ არ მწოვედ და მეტის მეტად სისხლი დასჭარბდეს.“**

ხოლო შეტევებს შუა პერიოდში ან მათი ჩათაფების შემდეგ მოწოდებული იყო „გასახსნელი“ წამლები. სისხლის გამოშვება ნაჩვენები იყო, როგორც სიყვითლის სამკურნალო საშუალება, თუმცა, გამოიყენებოდა შეტევათა შუა პერიოდშიც.

„და როდეს ცხრომან გაუშვას მაშინ შევასვით წამალი გასახსნელი ანუ ღამით ანუ დღისით.“*3

„ამიც ცხროსა გაშვებისა უკანის თუ სიყვითლე დარჩეს, უწინ ბასალიკისა ძარღვი გაუხსენით მარჯვენის ხელისა და ესე მათბუხი ვასვით“...*4

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 127 (1), 129 (2), 125 (3), 130 (4).

** დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — „იადიგარ დაჟდი“, გვ. 493.

„თუ მანკი („ლიბისა ცხროჲ“—ს. ა. და ტ. ბ.) რბილად იყოს მას დღესა რომელ არა აცხროვდეს ხელი გაიხსნას და სისხლი გამოიღოს.“*

...„და ბასალიკე გაუყსნათ მარცხენისა კელისა. ესე მა-
შინ ვქნათ, როდეს ცხრო („ცხრო ტეტრეტეოსი“—ს. ა. და
ტ. ბ.) მო-რე-ბერებულ იყოს“**1.

„აბა მეორესა დღესა ასრე უნდა ოყნაი ლეინა უყონ... და
მას უკან კიდევა სიცხე და სიმხურვალე ჰქონდეს მკლავი გა-
უხსნან და საშუალოს ძარღვიდადმან ცოტაოდენი სისხლი აღი-
ნონ“***.

საგულისხმოა, რომ „ცხროთა“ მკურნალობა ადვილ საქ-
მეს არ წარმოადგენდა. ამის გამო მწიგნობარი ექიმები მოუწო-
ლებდნენ სიფრთხილისაკენ, რადგან შენიშნული იყო, რომ მა-
ლარია იძლეოდა სხვადასხვა მძიმე გართულებებს.

„და ამა ცხროსა („ცხრო ზაფრისა“—სამდლიური მალარია
ს. ა. და ტ. ბ.) შიშით და კრძალვით ვჰკურნოთ, წამლითა გრი-
ლებითა და გამხსნელითა. და არამცა მხურვალი რამე გიქნია
წამალი, თვარე სტომაქსა შინა სიმსივნე დაუვარდების და კა-
ცი ანაზდად მოკუდების. მოიჭირვეთ რამე არ გაუგრძელდეს
ესე ცხრო თვარემ ამას მრავალი სენი მოჰყვების.“****

„ვჰკურნოთ ამა ცხროსა („ცხრო იტრიტეოსი— „სამდლიური
მალარია—ს. ა. და ტ. ბ.) შიშით და კრძალვით, და არა ვკურ-
ნოთ მითა, რომელი იყო მკურვალი, რათა არ წაიკიდოს სიმ-
სივნე სტომაქსა შინა და მოკუდეს იჩქითად“**.

როგორც აღვნიშნეთ, ძველი ექიმები მალარიის („ცხრო“) მკურნალობისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მწარე, მჟავე და არომატულ ნივთიერებებს. ამ ნივთიერება-
თა არასრული სია შემდეგია: 1. კოწახური (Berberis), 2.
აბჟინტა, აბზინდა (Autemisia absinthium), 3. ჯინტიანი, ნა-

* ხოჯაყოფილი—„წიგნი სააქიმოჲ“, გვ. 284.

** ზ. ფანასკერტელი—„სამკურნალო წიგნი“, გვ. 399 (1),
398 (2).

*** დ. ბატონიშვილი—„იადიგარ დაუდი“, გვ. 493.

**** ქანანელი—„უსწორო კარაბადინი“, გვ. 125.

ღველა (*Gentiana*), 4. პილპილი თეთრი და შავი (*Piper album et Piper nigrum*), 5. რევანდი (*Rheum palmatum*), 6. ზერევანდი, ზარავანდი, ძირმწარა (*Arishochia iberica F. et M.*), 7. ზაფრანა (*Crocus sativus L.*), 8. კაპარი (*Capparis spinosa L.*), 9. სუმბული (*Sumbul Angelica Moschata*), 10. საბრი (*Aloë*), 11. ენდრო (*Rubia tinctorum L.*), 12. ყრდელი (*Lactuca sativa L.*) და სხვ.

აღნიშნულ ნივთიერებათა ასეთი სიმრავლე ინსტიტუტურად ნაკარნახევი იყო და შესაძლებელია მომდინარეობს ხალხური მედიცინიდან; შემჩნეული იყო, რომ მალარიით ავადმყოფს თითქმის ყოველთვის უვითარდებოდა უმადობა. ხოლო ზემოდასახელებულ ნივთიერებათა შერჩევითი დანიშვნა შესაძლებლობას აძლევდა მკურნალს განეხორციელებინა ავადმყოფის გაძლიერებული კვება, „მადაზე დაყენება“. მალარიის დროს არასპეციფიკური დამხმარე საშუალებები (მადის მომგვრელი — *Stomachica*) დღესაც არ არის დავიწყებული და რაციონალურადაა მიჩნეული. ეს საშუალებას აძლევდა ძველ ექიმებს გაეძლიერებინათ ავადმყოფთა იმუნობიოლოგიური ძალები, რაც ერთადერთი იმედი უნდა ყოფილიყო მალარიით დაავადებულთა მკურნალობის დროს.

იმ დროს, როდესაც საქართველოში მალარიით ავადობა მასობრივ ხასიათს ატარებდა, ხშირი იყო შერეული ინფექციები და რეინფექციები და არ არსებობდა სპეციფიკური სამკურნალო საშუალებანი, გასაგებია, რომ ეს დაავადება მრავალფეროვანი გართულებებით ხასიათდებოდა. როგორც „უსწორო კარაბადინის“ ავტორი აღნიშნავს „ამას მრავალი სენი მოჰყვების“*.

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 125.

ბოლოსიტუაცია

ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა მალარიოლოგიის ზოგიერთი საკითხის ირგვლივ არსებული მასალა ქართული ნაბეჭდი კარაბადინების მიხედვით. ამ საკითხის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მალარიოლოგიის ისტორიისათვის საქართველოში. წინამდებარე შრომით ვფიქრობთ ნათელი გახდა ის გარემოება, რომ საქართველოს ძველი მწიგნობარი ექიმებისათვის კარგად იყო ცნობილი მალარიის სამივე ფორმის კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა და ეპიდემიოლოგია ცოდნის მაშინდელ დონესთან შეფარდებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მალარიოლოგიური პრობლემებისა და მისი ცალკეული საკითხების შესწავლის თვალსაზრისით ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (XI ს.) ერთადერთ სრულ და ძირითად წყაროს წარმოადგენს. ეს უძველესი საისტორიო საექიმო ძეგლი აცვიფრებს მკითხველს თხრობის სიმარტივით, გასაგები ენით, დაკვირვებათა სიღრმით, რომელიც საქართველოს პირობებთანაა დაკავშირებული, და თავისი განსწავლულობით, ერუდიციით. ეს გარემოება მიუთითებს აგრეთვე იმაზე, რომ ქანანელს უნდა ჰყოლოდა კიდევ სხვა წინაპრები, რომელთა წყალობით მას საშუალება მიეცა დაეხვეწა საექიმო ტერმინოლოგია და შეედგინა, როგორც თვით აღნიშნავს შესავალში, „უსწორო კარაბადინი“, ე. ი. სწორუპოვარი საექიმო სახელმძღვანელო. უნდა დავუშვათ, რომ, ქართულ ენაზე არსებობდა კიდევ სხვა კარაბადინებიც, სადაც გაშუქებული იქნებოდა თითქმის იგივე საკითხები, რაც მოცემულია „უსწორო კარაბადინში“. მაგრამ ისინი, ალბათ ვერ იყვნენ სათანადო სიმაღლეზე. ვინაიდან „ესე უს-

წორი კარაბადინი მრავალგვარად ჰირნახული არის და სნეულიცა მრავალი მოურჩენია, დიდთა სენთაგან დამძიმებული. ასეთი მარგებელი წამლები დაგვიწერია, რომე სევდა გაიღოს.“*

ეს ჩვენი მოსაზრება მით უფრო დასაშვებია, რომ IX — X საუკუნეებიდან საქართველოში აღინიშნება ეკონომიურ-კულტურული აღმავლობა, რამაც, როგორც ცნობილია, თავის ზენიტს მიაღწია XI — XII სს. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს. ამ პერიოდში ვითარდება და მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ ძეგლებს ტოვებენ ფილოსოფიის, ლიტერატურის, ხუროთმოძღვრების, მუსიკის, მხატვრობის და მედიცინის დარგში მომუშავე ჩვენი წინაპრები.

ფილოსოფიაში საქართველოს სახელი განადიდეს იოანე პეტრიწმა გელათიდან და არსენ იყალთოელმა იყალთოდან, ლიტერატურაში მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის შედეგები შექმნეს ჩახრუხადემ „თამარიანის“, იოანე შავთელმა „აბდულმესიანის“ და შოთა რუსთაველმა უკვდავი „ვეფხისტყაოსნით“; ხუროთმოძღვრებაში შეიქმნა მონუმენტური ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ალავერდის ტაძარი, სამთავისი და სხვ., მუსიკაში კი მიქელ მოდრეკილის მიერ სანოტო ნიშნებით — ნევნებით ფიქსირებულ იქნა იმდროინდელი ჰიმნები, — მედიცინაში ქართველ ექიმთა განსწავლულობა თავის სრულყოფილი სახით წარმოგვიდგება XI ს. საისტორიო ძეგლით ქანანელის „უსწორო კარაბადინით“ და XIII ს. ძეგლით ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოჲ“-თი.

აღსანიშნავია, რომ „უსწორო კარაბადინი“ ცნობილი იყო ქართველთა მეზობელი ერებისათვისაც. 1928 წ. სომხეთიდან ჩამოტანილ იქნა ამ კარაბადინის ხელნაწერი № 26 ვარიანტი (ლ. კოტეტიშვილი, 1940), რომელზეც სომხურად იყო წამლეულობის გასამართავი მინაწერები. ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ მოახდენდა გავლენას სომხურ მედიცინაზე.

* ქ ა ნ ა ნ ე ლ ი — „უსწორო კარაბადინი“, გვ. 5.

ლ. კოტეტიშვილი ამის შესახებ აღნიშნავს შემდეგს: „რა ბედი ჰქონდა ხელნაწერს, როგორ მოხვდა ის სომხეთში და რა გავლენას ახდენდა ის ძველ სომხურ მედიცინაზე—ეს ჯერჯერობით ამოუცნობია; მაგრამ, სომხურ მედიცინაზე რომ დიდ გავლენას მოახდენდა, ეს ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან ასეთი ხნოვანობის წერილობითი საექიმო ძეგლი, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ძველ სომხურ მედიცინაში ჯერ აღმოჩენილი არ არის. საერთოდ რა გავლენას ახდენდა ძველი ქართული მედიცინა მეზობელ ერების საექიმო აზროვნებაზე და კერძოდ სომხურ მედიცინაზე—ეს მეტად საგულისხმო საკითხია და ცალკე კვლევისა და შრომას მოითხოვს.“*

ამჟამად ჩვენ ხელთაა სომხეთის სსრ აკადემიის მიერ რუსულად თარგმნილი და გამოცემული XII ს. ექიმის მხითარ ჰერელის წიგნი — „Утешения при лихорадках“. ** ქანანელის „უსწორო კარაბადინის“ და მხითარ ჰერელის წიგნს შორის პარალელის გატარება ცალკე შრომის საგანს წარმოადგენს. აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ XII ს. სომეხი ექიმის მხითარ ჰერელის წიგნში ხშირად გვხვდება XI ს. ქართველი ექიმის ქანანელის „უსწორო კარაბადინის“ ანალოგიურ ადგილებში ტექსტების დამთხვევა, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ორივე ავტორი ან ერთი და იმავე წყაროთი სარგებლობდა, ანდა მხითარს თავისი წიგნის შედგენისას ხელთ ჰქონდა ქანანელის „უსწორო კარაბადინი.“***

* ლ. კოტეტიშვილი — შესავალი წიგნისა: ქანანელი „უსწორო კარაბადინი“, 1940, გვ. 16.

** Мхитар Герац — „Утешения при лихорадках“, перевод с армянского, введение и комментарии Арутюняна Г. Г., Кцоюна А. С., Мелик-Парсаданяна Х. А., Оганесяна Л. А., Сепетчяна А. О., Ереван, 1955 г.

*** წინამდებარე ნაშრომის დაწერის შემდეგ ჟურნალ „საბჭოთა მედიცინაში“ დაიბეჭდა პროფ. ილ. აბულაძის სტატია სათაურით „ძველი ქართულისა და ძველი სომხური სამედიცინო მწერლობის ურთიერთობისათვის“ (იხ. „საბჭოთა მედიცინა“, 1959 წ. № 4, გვ. 57—60, № 5, გვ. 61—65), რომელშიც ავტორი ასაბუთებს ქართულ სამკურნალო მწერლობაში გავრცელებულ სამკურნალო წიგნის ტიპის — კარაბადინის გა-

ჩვენ მიერ განხილულ კარაბადინებში მალარია გაერთიანებულია ცივ-ცხელებით („ცხრო“) მიმდინარე დაავადებათა საერთო ჯგუფში. „ცხროთა“ ნოზოლოგიური ერთეული ამ საექიმო წიგნებში ცვალებადობს 13-დან („წიგნი სააქიმოჲ“) 25-მდე („უსწორო კარაბადინი“).

მალარიის სამივე ფორმა (სამდღიური, ოთხდღიური და ტროპიკული) და შერეული ინფექცია („შეშლილი ცხრო“) აღწერილია უკვე XI ს. საექიმო ძეგლში—„უსწორო კარაბადინში“. იგივე ფორმებია აღწერილი მომდევნო საუკუნეების კარაბადინებშიც.

მალარიის ეტიო-პათოგენეზი ძირითადად წარმოდგენილია იმ დროს მსოფლიოში გაბატონებული ჰუმორალური თეორიით. ამ თეორიის თანახმად, ორგანიზმის სიჯანსაღე დამოკიდებულია ოთხი მატერიალური ნივთიერების, ელემენტის („ხილთი“, „ნივთი“, „ბუნებაი“) თანაბარ განაწილებაზე („ერთმანეთსა შეზავებით და სწორად ყოფნაზე“), ხოლო ამ წონასწორობის დარღვევა, ერთ-ერთის ან რამდენიმე მათგანის (სისხლის, ზაფრის, სევდის და ბალამის) „დამეტება“ ან მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შეცვლა („გათხელდეს“, „შესქელდეს“, „დალპეს“, „აყროლდეს“) მიზეზი ხდებოდა დაავადებისა. ამ „ნივთთა“ რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო გარემოს ბუნებრივი ფაქტორები, დიეტური რეჟიმის დარღვევა და ადამიანის ფსიქიკური განცდები.

დადებას ქართულიდან სომხურად. კერძოდ პროფ. ილ. აბულაძეს მოჰყავს სომხური ხელნაწერი № 412 მატენადარანის ხელნაწერთა კოლექციიდან. ამ და ქანანელის „უსწორო კარაბადინის“ ტექსტთა შედარებით ავტორი ასკვნის, რომ ქართულ სამედიცინო მწერლობაში საკმაოდ გავრცელებული სამკურნალო წიგნის ერთი სახე, რომელიც „უსწორო კარაბადინის“ სახელწოდებით იყო ძველად ცნობილი, სომხებს უთარგმნიათ ქართულიდან XVI—XVII ს-ში“ (ქ. „საბჭოთა მედიცინა“, 1959, № 5, გვ. 65).

ამავე დროს ფრიად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქართველი მწიგნობარი ექიმები, კერძოდ ქანანელი (XI ს.), ხოჯაყოფილი (XIII ს.) და ზ. ფანასკერტელი (XV ს.) გვერდს უხვევენ ჰუმორალური თეორიის დოგმატურობას და სამდღური მალარიის გამომწვევად მიიჩნევდნენ უცნობ მიზეზს, რომლის ახსნა მეცნიერების მაშინდელი დონის მიხედვით შეუძლებელი იყო. მაგრამ მათი ეპიდემიოლოგიური აზროვნება კი მათ უკარნახებდა იმას, რომ მალარია ამ ოთხი ელემენტიდან რომელიმეს „დამეტების“ გარდა „უმიზეზოდაც“ (რადაც სხვა მიზეზით) შეიძლებოდა „შექმნილიყო“.

ეს გარემოება მიუთითებს ჩვენს წინაპართა ორიგინალურ სამედიცინო აზროვნებაზე და განსაკუთრებით ქანანელის დაკვირვებულობაზე, რომელსაც პირველად აქვს ეს დებულება მოყვანილი.

ჩვენი აზრით, „ცხროთა კარში“ გარდა იმ „ფერად-ფერადის ცხელებისა“, რომლებსაც გარკვეული კლინიკური სურათი ახასიათებთ, მოხვედრილია აგრეთვე მალარიის საპროვოკაციო ფაქტორები: „უძილობა“, „დიდი სასჯელი“, „შეშინება“, „დიდი საგონებელი“ და სხვა ფიზიკურ-ფსიქიკური (სიცხე, სიცივე, ბანაობა, შიმშილი და სხვ.) ზეგავლენა და მდგომარეობა.

ამავე დროს „ცხროთა“ გამოცნობისათვის, ვინაიდან იმ დროს სხვა არავითარი საშუალება არ არსებობდა, მოწოდებული იყო კლინიკური დაკვირვება დინამიკურობაში. ეს გარემოება მიუთითებს ძველ ექიმთა დიდ სიდინჯეზე, გამოცდილებასა და განსწავლულობაზე, რადგან ექიმის ხელოვნება სწორედ იმაში მდგომარეობდა „რათა ცნას თუ რომელი ცხრო არის, ანუ (ავადმყოფი—ს. ა. და ტ. ბ.) რასა წაჰკიდებია... და როდეს ცნას დასტურობით, თუ რომელი ცხრო არისო, გაუადვილდეს მისი კურნება“*.

„ცხროთა ბუნების შეტყობა“ კი პირველ დღეს შეუძლებელი იყო. „ამიტო ექიმს უნდა მოეცადა რამდენიმე ხანი, სანამ არ „გამოცხადდებოდა“ სნეულება.

* ზ. ფანასკერტელი—„სამკურნალო წიგნი“, გვ. 378.

სამდღიური მალარია ძველი საისტორიო საექიმო ძეგლების მიხედვით ხასიათდებოდა დღეგამოშვებითი შეტევებით, თუმცა, შესაძლებელი იყო დასაწყისში შეტევებს ყოველდღიური ხასიათი ჰქონოდა. შეტევები სამი სტადიისაგან შედგებოდა: შეციების, სიცხის და ოფლის. ჰქონდა მძაფრი ხასიათი, ზოგჯერ აღინიშნებოდა პირღებინება, ავადმყოფს ეკარგებოდა მაღა, გუნებგანწყობა ჰქონდა ნალვლიანი, აწუხებდა თავის ტკივილი, ტკივილი მარცხენა და მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში; კანი იღებდა მკრთალ, მოყვითალო ელფერს. ზოგჯერ ვითარდებოდა სიყვითლე („იარაყანი“). შეტევები მეორდებოდა შვიდჯერ, თუმცა, მდგრადი ფორმებისას და დასუსტებულ ორგანიზმში 14-ჯერაც აღინიშნებოდა. აღილი ჰქონდა მალარიულ შეშუპებას, არაიშვიათი იყო დისპეფსიური მოვლენები. გართულებათა შორის აღინიშნებოდა მალარიული მწვავე ჰეპატიტი, ჰეპატოსპლენომეგალია, სპლენომეგალია და კიდევ „მრავალი სენი“ (იხ. ზემოთ გვ. 15, 16, 17, 18, 19, 20—27).

სამდღიური მალარია აღინიშნებოდა ზაფხულობით, ბავშვთა (უფრო სწორად „ყრმათა კაცთა“ ან „სიჭაბუკისა დღეთა ჟამთა“, ასაკში. მისი რეციდივები ხშირი იყო დიეტური რეჟიმის დარღვევის შედეგად ან სხვადასხვა ფსიქიკური განცდების ან სხვა დაავადების მიზეზით.

ფრიად საგულისხმოა, რომ ძველი ექიმები სწორად აღნიშნავენ სამდღიური მალარიის ახალი დაავადების გამოჩენის დროს—ზაფხულს ან ადრეულ შემოდგომას, რაზედაც დამოკიდებული იყო დაავადების ხანგრძლიობა (გვ. 26—27). საერთოდ სწორად იყო შენიშნული, რომ სამდღიური მალარია ხასიათდებოდა ხშირი რეციდივებით წელიწადის ყველა დროში.

ოთხდღიური მალარიის შესახებ აგრეთვე დამაჯერებელი ცნობები მოიპოვება სამკურნალო კარაბადინებში. ამ დაავადების დროს შეტევები მეორდებოდა ორდღეგამოშვებით, ყოველ მეოთხე დღეს, ზუსტად ერთსა და იმავე საათებში: ნიშანდობლივი იყო ის გარემოება, რომ ზოგჯერ ოთხდღიური მალარიის დროს „ცხროს“ დასაწყის პერიოდში ცხელებას არ

ჰქონდა ჩამოყალიბებული სახე, ტემპერატურა უსწორო ტიპი-
სა იყო („წინა-სხუანი შეშლილნი ცხრონი შეიპყრობენ“*). შე-
საძლებელია აქ შერეულ ინფექციასთან ჰქონდათ საქმე, ანდა
ციებ-ცხელებას ყოველდღიური (quotidiana) ხასიათი ჰქონ-
და, რაც ამჟამად დადასტურებულად ითვლება.

მაღარიის ამ ფორმის დროს შეციება ძალიან სტანჯავდა
ავადმყოფს, სანამ არ დაიწყებოდა სიცხის სტადია. დაავადების
ხანგრძლივი მიმდინარეობა ხდებოდა მაღარიულ ჰეპატოსპლენ-
ომეგალიას განვითარების მიზეზი.

მაშინდელ დაძაბულ ეპიდფაქტორთა პირობებში ძველი
ექიმები იჩენდნენ დიდ დაკვირვების უნარს დაავადების საერ-
თო ხანგრძლიობაზე, რაც მათი მონაცემებით „ორსა წელიწად-
სა არ გაეყაროს“ ან „ორ წლამდის მიყვების“ („უსწორო კა-
რაბადინი“), თუმცა აღინიშნებოდა მისგან ზოგჯერ უფრო ად-
რე „სპონტანური“ განკურნებაც.

ასევე ყურადღებას იპყრობს ოთხდღიური მაღარიით ავა-
დობის გამოვლინების სეზონურობა, რაც უფრო ზამთარში
იყო შენიშნული. ცნობილია, რომ ოთხდღიური მაღარიის რე-
ციდივები უფრო ზამთარში აღინიშნება. თუმცა წელიწადის
სხვა დროშიც ჰქონდა ადგილი ამ დაავადებას (გვ. 30).

ავადმყოფთა ასაკის მხრივ, ოთხდღიური მაღარია ყვე-
ლა ასაკში აღინიშნებოდა (გვ. 31) და ეს გასაგებიცაა, რადგან
ყველაზე გვიან იმუნიტეტი აღადამიანს ამ დაავადების მიმართ
უვითარდება.

რამდენადმე ძნელი იყო იმდროინდელ ექიმებს სცოდნო-
დათ ტროპიკული მაღარიის სწორად გამოცნობა. მიუხედავად
ამისა, კარაბადინებში აღწერილია განსაკუთრებული „ცხრო“
(გვ. 36, 37, 38, 39), რომელიც აღწერილობით მოგვაგონებს
ტროპიკულ მაღარიას და უთუოდ მასზეა ამ წიგნებში ლაპა-
რაკი.

ტროპიკულ მაღარიას ახასიათებდა ყოველდღიური შეტე-
ვები, ტემპერატურის უსწორო ტიპი, სახსრების ძლიერი ტკი-

* ზ. ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი — „სამკურნალო წიგნი“, გვ. 398.

ვილი, გამონაყარი ტუჩებზე (*herpes labialis*), ტკივილი მუცლის არეში, კანის ფერის შეცვლა მოკლე დროში. ზოგჯერ აღგილი ჰქონდა სიკვდილობას, რაც შენიშნული იყო ახალი დაავადების დროს.

განსაკუთრებით ხშირი იყო ტროპიკული მალარია ბავშვთა და მოხუცებულობის ასაკში (გვ. 41).

მალარიის შერეული ინფექციებისათვის დამახასიათებელი იყო „ცხროთა“ მონაცვლეობითი გამოჩენა. მალარიის ესა თუ ის ფორმა თავს იჩენდა წელიწადის სხვადასხვა დროს, რის გამო მალარიის ეს ფორმა ხანგრძლივი მიმდინარეობით ხასიათდებოდა.

მალარიით დაავადებულთა მკურნალობის შესახებ ცნობები მრავლად მოიპოვება ჩვენ მიერ დამუშავებულ ნაბეჭდ კარბადინებში. ეს ცალკე შესწავლის საგანს წარმოადგენს. აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მკურნალობა გარკვეული პრინციპების მიხედვით წარმოებდა, რომლიდანაც მთავარი იყო ავადმყოფთათვის საკვების შერჩევა, დიეტური რეჟიმი და სხვადასხვა სამკურნალო ნივთიერებათა გამოყენება.

იმის გამო, რომ ჩვენს წინაპრებს მალარიის სპეციფიკური სამკურნალო საშუალებები არ გააჩნდათ „ცხროთა“ მკურნალობა მათგან დიდ სიფრთხილეს („შიშს“ და „კრძალვას“) მოითხოვდა. როგორც ჩანს, არაიშვიათი იყო მალარიის დროს (განსაკუთრებით ტროპიკული მალარიის დროს) სიკვდილის შემთხვევები.

ჩვენ მიერ განხილული მასალის შედეგად, ვფიქრობთ, ექვს გარეშე უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩვენს წინაპარ მწიგნობარ ექიმებს, დაწყებული XI ს. და უფრო ადრეც, კლინიკურ და ეპიდემიოლოგიურ დაკვირვებათა საფუძველზე შეეძლოთ მალარიის სხვადასხვა ფორმის გამოცნობა. ამიტომ ჩვენ საპრობლემოდ არ მიგვაჩნია ეს დებულება, როგორც ამას აღნიშნავენ მ. სააკაშვილი და ა. გელაშვილი (1956). ამავე ავტორთა ცნობით, მალარიის გამომწვევ მიზეზად დასახელებულია „კლიმატური ფაქტორი“. ამავე დროს მოყვანილია ამონაწერი, სადაც მოიხსენიება არა კლიმატი, არამედ ზაფხული.

ზაფხულში ან წელიწადის სხვა დროში მაღარიით დაავადება, მაჩვენებელია დაავადების სეზონურობის და არ წარმოადგენს მის გამომწვევ მიზეზს. გარდა ამისა, ეს რომ ასე იყოს, ეს დაამტკიცებდა ძველი საისტორიო საექიმო ძეგლების მნიშვნელობას. მათ ავტორთა უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ეპიდემიოლოგიური ხასიათის დაკვირვება. ავადმყოფის საწოლთან ისინი მხოლოდ კლინიციკებად კი არ გვევლინებიან, არამედ ფართო პორიზონტის მქონე ეპიდემიოლოგებადაც.

ამ მხრივ კვლავ გვინდა ხაზი გავუსვათ „უსწორო კარაბადინის“ ღირსებას. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, ეპიდემიოლოგიური ხასიათის დაკვირვებანი შედარებით სრულად მოცემულია XI და XV სს. ძეგლებში—„უსწორო კარაბადინში“ და „სამკურნალო წიგნში“. ამ ცნობებით შედარებით ღარიბია „იადიგარ დაუდი“ და უფრო მეტად—„წიგნი სააქიმოჲ“. ჩვენ მიერ განხილულ დასახელებულ წიგნთა შორის ზ. ფანასკერტელი (XV ს.) თითქმის პირდაპირ ციტირებას ახდენს ქანანელის „უსწორო კარაბადინიდან“. ეს მიუთითებს უთუოდ ზ. ფანასკერტელის დიდ პატივისცემაზე „უსწორო კარაბადინის“ ავტორისადმი, რაც გამომდინარეობდა ამ წიგნის უბადლო ღირსებებიდან, შემოწმებული როგორც პირადად ზაზა ფანასკერტელის გამოცდილებით, ისე საუკუნეების მანძილზე სხვა მკურნალთა მიერაც.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მოვიყვანთ მაღარიის სხვადასხვა ფორმების შესაბამის დასახელებებს (სინონიმებს) ძველი ქართული ნაბეჭდი კარაბადინების მიხედვით და ს. ს. ორბელიანის (XVIII ს.) ლექსიკონით („სიტყვის კონა“).

სამედიური მაღარია

„უსწორო კარაბადინი“ (XI ს.)—„ცხრო ზაფრისა, რომელსა ჰქვიან ღიბი“ (გვ. 124).

„წიგნი სააქიმოჲ“ (XIII ს.) — „ლიბისა ცხროჲ ორფერად
იქნების ლაზიმაჲ და ნაბია“ (გვ. 283).

„სამკურნალო წიგნი“ (XV ს.) — „ცხრო ...იტრიტეოს. და
არს ესე ცხრო მესამისა ლიბი ჰქუიან, ანუ ცხრო ...კეესოს“
(გვ. 397).

„იადიგარ დაუდი“ (XVI ს.) — „ლიბი დაირას ცხელება“ — და
„ამა ცხელებასა სახელად ღეირი ხალისი, ჰქუიან“ (გვ. 492).

„სიტყვის კონა“ (XVIII ს.) — „მეორის დღის ცხროებას...
ეწოდება ლევაია“ (გვ. 436).

ოთხდღიური მაღარია

„უსწორო კარაბადინი“ — ცხრო შავის ნალულისა, რომელ არს
სევდა. არს ესე ცხრო რიბი“ (გვ. 131—132)... რომელსა ჰქვი-
ან, თაბი ჩარუმი (გვ. 132).

„წიგნი სააქიმოჲ“ — მეოთხე ცხროჲ რომელ სევდისაგან
ანუ სხვაჲ ხილტისაგან იყოს“ (გვ. 287).

„სამკურნალო წიგნი“ — ... „ცხრო... ტეტრეტეოს. და არს
ესე ცხრო რიბი“ (გვ. 398).

„იადიგარ დაუდი“ — ... „რუბი დაირა... ვითამცა და სევდი-
ანი ცხელება და ცივება“ — ო (გვ. 498).

„სიტყვის კონა“ — „ეტრატეოს“ (გვ. 436).

ტროპიკული მაღარია

„უსწორო კარაბადინი“ — „ბალღმისა ცხრო რომელსა
ჰქვიან ანა ფელეს“ (გვ. 137).

„წიგნი სააქიმოჲ“ — ცხროჲ მუტბაყისა“... ნიადაგ ცხროჲ
რომელ მოჰრიყაჲ ჰქვიან და შატრალღიბი“ (გვ. 285—286).

„სამკურნალო წიგნი“ — „ცხრო... იფიმირიანოს“ (გვ. 394)
... „ცხრო, ანაფელოს“ (გვ. 402).

„იადიგარ დაუდი“ — „ჰიომაი ბალღამი“ (გვ. 499).

„სიტყვის კონა“ — „ენამეროს და აფიკაროს“ (გვ. 435).

„უსწორო კარაბადინი“—შეშლილი ცხრო“ (გვ. 139).

„წიგნი სააქიმოჲ“—(არ არის).

„სამკურნალო წიგნი“—„ცხრო იმტიტრიტეოს... შეიპყრობს შეშლილად“ (გვ. 403).

„იადიგარ დაუდი“—„ჰიომაი მურაქაფა, ვითარცა და არეული ცხელებაო“, და „ყიბი ყეირი ხალისი (გვ. 501).

„სიტყვის კონა“—(არ არის).

ჩვენი აზრით, საგულისხმოა ერთი გარემოება—ყველა ნაბეჭდ ქართულ სამკურნალო წიგნებში და ს. ს. ორბელიანის „სიტყვის კონაშიც“ სიცხიან დაავადებებს „ცხრო“ ეწოდება, გარდა დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდისა“, სადაც ეს სიტყვა აღარ იხმარება. უფრო მეტიც, „საბა „ცხროს“ განმარტავს, ცივების სენად, ე. ი. ცხრო ჩვენი დროის გაგებით მალარიის სინონიმად წარმოგვიდგება, რასაც არ ვხვდებით ძველ საექიმო წიგნებში. ეს გარემოება უთუოდ იმაზე მიუთითებს, რომ „იადიგარ დაუდის“ ავტორი, ალბათ, არ იცნობდა მის წინაპართა ქართულ საექიმო წიგნებს და სარგებლობდა მხოლოდ უცხოური წყაროებით.

დასკვნა

ძველი ქართული საისტორიო სამედიცინო დამწერლობით ძეგლებში: „უსწორო კარაბადინი“ (XI ს.), „წიგნი სააქიმოჲ“ (XIII ს.) და „სამკურნალო წიგნი“ (XV ს.) ცხელებით მიმდინარე ყველა დაავადებას მათ შორის მალარიასაც ეწოდება „ცხრო“.

„იადიგარ დაუდში“ (XVI ს.) სიცხიანი დაავადებები გაერთიანებულია ერთ „კარში ფერად ფერადის ცხელებისა და ცივებისა“. ცნება „ცხრო“ არ გამოიყენება.

სულხან საბა ორბელიანი „ცხორო“-ს უწოდებს ციების სენს (მალარიას) და მის „სიტყვის კონაში“ მოცემულია ამ დაავადების კლინიკური ფორმები ადეკვატური დღევანდელ გაგებასთან.

ძველი ქართული საისტორიო სამედიცინო დამწერლობითს ძეგლებში: „უსწორო კარაბადინი“ (XI ს.), წიგნი სააქიმო „ (XIII ს.), „სამკურნალო წიგნი“ (XV ს.) და „იადიგარ დაუდი“ (XVI ს.) ცხელებით მიმდინარე სხვა დაავადებებთან ერთად მოცემულია სამდღიური და ოთხდღიური მალარიისა და მალარიის შერეული ფორმისათვის დამახასიათებელი კლინიკური სურათი.

მიუხედავად იმისა, რომ ტროპიკული მალარიის კლინიკა ხასიათდება პოლიმორფიზმით და ატიპიურობით, აღნიშნულ კარაბადინებში მაინც ვხვდებით მის შესახებ ზოგიერთ ცნობებს.

განხილულ საექიმო ძეგლებში მოიპოვება აგრეთვე ეპიდემიოლოგიური ხასიათის ცნობები მალარიის სამივე ფორმის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით მალარიას („ცხოროს“) ახასიათებდა სეზონურობა, გარკვეული ხანგრძლიობა და ადამიანთა სხვადასხვა ასაკის მიხედვით დასნებოვნება.

მალარიის ეტიოპათოგენეზი წარმოდგენილია იმ დროს გამეფებული დოგმატური ჰუმორალური თეორიით, რომლის მიხედვით მალარიის ესა თუ ის ფორმა გამოწვეული იყო ორგანიზმის ერთ-ერთი შემადგენელი მატერიალური კომპონენტის (სისხლის, ზაფრის, სევდის და ბალღამის) ან რამდენიმე მათგანის „დამატებით“ ან მათ ფიზიკურ თვისებათა შეცვლით („გათხელება“, „გასქელება“ და სხვ.).

განხილული კარაბადინებიდან მალარიოლოგიის პრობლემებისა და მისი ცალკეული საკითხების შესწავლის თვალსაზრისით ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (XI ს.) ერთადერთ სრულ და ძირითად წყაროდ უნდა ჩაითვალოს.

ლიტერატურა

- ილ. აბულაძე — ძველი ქართული და ძველი სომხური სამედიცინო მწერლობის ურთიერთობისათვის: ჟურნალი „საბჭოთა მედიცინა“. 1959 წ. № 4, გვ. 57—60; №5, გვ. 61—65.
- დავით ბატონიშვილი — „იადიგარ დაუდი“. საქბიომედგამი, თბილისი, 1938.
- ტ. ბაქრაძე — მალარიის საწინააღმდეგო ზოგიერთი სინთეზური პრეპარატის გამოტრობული მოქმედება (ექსპერიმენტული და ეპიდემიოლოგიური გამოკვლევა). დისერტაცია. თბილისი, 1956.
- ლ. კოტეტიშვილი — „მედიცინა ძველ საქართველოში“, XIII საუკ. „წიგნი სააქიმოჲ“, 1936, გვ. XVII—LXV.
- ლ. კოტეტიშვილი — წინასიტყვაობა „წიგნი სააქიმოჲ“ თბილისი, 1936, გვ. V—VIII.
- ლ. კოტეტიშვილი — წინასიტყვაობა და შესავალი „უწორო კარაბადინი“ თბილისი, 1940, გვ. I—XXXII.
- ლ. კოტეტიშვილი — წინასიტყვაობა წიგნისა „იადიგარ დაუდი“, საქბიომედგამი, თბილისი, 1938, გვ. V—IX.
- ლ. კოტეტიშვილი — „მედიცინა ძველ საქართველოში XVI საუკუნე“. „იადიგარ დაუდი“, თბილისი, 1938, გვ. 1—87.
- ზაზა ფანასკერტელი — „სამკურნალო წიგნი“ (კარაბადინი). საქმედგამი, თბილისი, 1950, ნაწ. I.
- ზ. ფანასკერტელი—ციციშვილი — „სამკურნალო წიგნი, კარაბადინი“. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959.
- ს. ს. ორბელიანი — „სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“. რ. იორდანიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, სახელგამი, თბილისი, 1949.
- ა. მაყაშვილი — ბოტანიკური ლექსიკონი, მცენარეთა სახელწოდებანი. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1949.

- გ. მარუაშვილი და ი. თოფურია — „მალარიის პარაზიტული სურათის დინამიკა კლინიკის მასალების მიხედვით“. საქ. მალარიისა და სამედიც. პარაზ. სამეცნ. კვლ. ინსტ. ბიულეტენი, 1954, 2(20), გვ. 3—13.
- მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი — „საქართველოს მედიცინის ისტორია“, III ტ., წიგნი II, საქმედგამი, თბილისი, 1956.
- მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი — „საქართველოს მედიცინის ისტორია“, III ტ., წიგნი II, საქმედგამი, თბილისი, 1956.
- მ. შენგელია — „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“. საქმედგამი, თბილისი, 1956.
- მ. შენგელია — „ზაზა ფანასკერტელი—ციციშვილი და მისი „სამკურნალო წიგნი“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.
- ხოჯაყოფილი — „წიგნი სააქიმოჲ“. სახელგამი, თბილისი, 1936.
- Абуладзе С. С.—Материалы по сравнительной паразитологии малярии в Грузии. Тр. Центр. станц-троп-медич., в 1, 1927 г. стр. 100—115.
- Джапаридзе П. С.—Малярия и борьба с ней по Абхазской АССР. Диссертация, Сухуми, 1948 г.
- Мхитар Герац—Утешение при лихорадках. Под редакцией Л. А. Оганесяна. Издан АН Армянской ССР, Ереван, 1955.
- Гордадзе Г. Н.—Особенности эпидемиологии и профилактики малярии в разных малярийных ландшафтных условиях. Диссертация, Тбилиси, 1957.
- Тареев Е. М.—Клиника малярии. Москва, Медгиз, 1946.
- Фавр В. В.—Опыт изучения малярии в России в санитарном отношении. Харьков, 1903.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	5
შესავალი	5
სამდიოური მალარია	15
ოთხდღიური მალარია	29
ტროპიკული მალარია	36
მალარიის შერეული ფორმები	42
მკურნალობის საკითხები	44
ბოლოსიტყვაობა	51
დისკვნა	61
ლიტერატურა	63

რედაქტორი სსრ კავშირის მედ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი
პროფ. გ. მარუაშვილი

გამომც. რედაქტორი ნ. დოლიძე
ტექნორედაქტორი ზ. ხუნდაძე
კორექტორი ლ. არეშიძე

ბეღმონწერილია დასაბეჭდად 22/XII-60 წ. ქალაქის ზომა $84 \times 108 \frac{1}{8}$ სმ.
ნაბეჭდი თაბაზი 3,49 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 2,73
საავტორო თაბაზი 2,56

შე—05080

ტირაჟი 1000

შეკვეთა 1389

ფასი 1 მან. 65 კაპ.

1961 წ. 1-ლი იანვრიდან 17 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
ქ. თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5.

Типография Издательства Академии наук Грузинской ССР
г. Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5.

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვ. №	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ხედიდან	ქვემოთდან		
9	17		(IV ძვ. წ. ა.)	(IV ს. ძვ. წ. ა.)
10	14		დამეტყდების	დამეტდების
20		8	შეცეუებს	შეჯეუებს
32		13	XXXXXX ²	XX ²
36	7		subconti nua	subcontinua
37	7		იყოს	იყოს
37		7	იქნენის	იქნების
45	14		მათ ბუზი	მათბუზი
48	8		ცხროთანა	ცხროიანთა
50	3		Irishochia	AristoIochia

აბულაძე, ბაქრაძე

Абуладзе Соломон Семенович, Бакрадзе Тариэл Лукич

**Некоторые вопросы малярнологии
по грузинским медицинским книгам—
„Карабаднии“ XI—XVI столетий**

(На грузинском языке)

Государственное издательство

„Сабчота Сакартвело“

Тбилиси—1960